შირაქი

SHIRAKI

გამოდის 1937 წლიდან

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№48 (10.007)

25 დეკემბერი-1 იანვარი 2022 წელი

ფასი: 60 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა

პარლამენტის თავმჯდომარემ თანამდებობა დატოვა

კახა კუჭავა პარლამენტის თავმჯდომარის პოსტთან ერთად, საპარლამენტო მანდატსაც ტოვებს და პარლამენტიდან მიდის.

როგორც პარლამენტის საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ გურამ მაჭარაშვილმა განაცხადა, ის პარლამენტს ტოვებს, თუმცა რჩება გუნდში - პარტიის პოლიტსაბჭოს შემადგენლობაში და იმუშავებს პროექტზე.

"საკითხი განხილული იყო როგორც პოლიტსაბჭოს, ასევე უმრავლესობის სხდომაზე. კახა კუჭავამ ახსნა პარლამენტის თავმჯდომარის თანამდებობის დატოვების მიზეზები. მე და ჩემი კოლეგები მეტნაკლებად საქმის კურსში ვართ იმ დიდ პროექტთან დაკავშირებით, რასთან დაკავშირებითაც კახას აქვს თავისი სურვილები და მოსაზრებები. ის რჩება გუნდში, პოლიტსაბჭოში, თანამდებობაზე პარტიაში და გაუძღვება მიმართულებას, რასაც მალე გაიგებს საზოგადოება. მან როგორც პარლამენტის თავმჯდომარემ საკუთარ საქმიანობას ალღო ძალიან კარგად აუღო და თავისუფლად შეიძლება ვთქვათ, რომ პარლამენტის ერთ-ერთი წარმატებული თავმჯდომარეა", - განაცხადა გურამ მაჭარაშვილმა. პარლამენტის მომავალი სპიკერი შალვა პაპუაშვილი იქნება. როგორც მან მისი კანდიდატურის წარდგენის შემდეგ განაცხადა, 2022 წლიდან პარლამენტის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანა, საპარლამენტო პროცესებში ოპოზიციის ჩართვა იქნება.

პატრიარქს აღსაყდრების დღე მიულოცა

ჩვენს სულიერ მამას დიდი სიყვარულითა და პატივისცემით ვულოცავ აღსაყდრებიდან 44-ე წელს და ხანგრძლივ სიცოცხლეს ვუსურვებ ჩვენი ხალხისა და ქვეყნის საკეთილდღეოდ- ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი სოციალურ ქსელ "Facebook"- ზე წერს.

„დიდი სიყვარულითა და პატივისცემით ვულოცავ აღსაყდრებიდან 44-ე წელს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, უწმინდესსა და უნეტარეს ილია II-ს.

ამ მნიშვნელოვან დღეს ასევე ვულოცავ საქართველოს ყველა მოქალაქეს.

ჩვენ ქვეყანას წილად ხვდა ბედნიერება, ბოლო თითქმის ნახევარი საუკუნე - თავისუფლებისა და სულიერი აღორძინებისკენ სვლის ურთულესი ისტორიული მონაკვეთი მისი სულიერი წინამძღოლობით გაევლო. პატრიარქის დაუღალავი მოღვაწეობა ყოველთვის გვეხმარებოდა შეგვენარჩუნებინა ერთობა, სტაბილურობა, მომავლის იმედი და რწმენა.

პატრიარქის პირადი ღვაწლისა და უდიდესი საერთაშორისო ავტორიტეტის შედეგია ისტორიული მნიშვნელობის მიღწევა - საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალიის ცნობა საერთაშორისო დონეზე, ჩვენი ეკლესიის გაძლიერება, სულიერების აღორძინება, ეკლესია-მონასტრების მშენებლობათა უპრეცედენტო ზრდა, საეკლესიო განათლებისა და მეცნიერების განვითარება. ვუსურვებ ჩვენს სულიერ მამას ხანგრძლივ სიცოცხლეს ჩვენი ხალხისა და ქვეყნის საკეთილდღეოდ", -წერს ირაკლი ღარიბაშვილი.

გადატვირთვა „ ქართულად"

საქართველოში პოლიტიკური ვითარება კვლავ დაძაბულია. პრეზიდენტის ინიციატივის მიუხედავად, რომელიც საზოგადოების პოლარიზაციის დასრულებასა და შერიგებას ითვალისწინებს, ოპოზიციური პარტიების ერთი ნაწილი კარვების ქალაქში ცხოვრებას და შიმშილობას აგრძელებს მოთხოვნით: გათავისუფლდეს მიხეილ სააკაშვილი!

ამერიკელი და ევროპელი პარტნიორები პრეზიდენტ ზურაბიშვილის ინიციატივას ეროვნული თანხმობის პროცესის დაწყების შესახებ იწონებენ, თუმცა ამბობენ, რომ იმაზე მეტს ელიან, ვიდრე პროცესის დაწყებაა. შერიგების იდეას ეხმაურებიან ქვეყნის მესამე და მეხუთე პრეზიდენტებიც და პროცესში ჩართვის სურვილს გამოხატავენ. სამაგიეროდ, დიდი ენთუზიაზმით არ გამოირჩევიან სხვა პოლიტიკური ლიდერები. მაგალითად, ირაკლი კობახიძე აცხადებს, რომ მმართველ გუნდს ხალხთან შესარიგებელი არაფერი აქვს. განსხვავებით რადიკალური ოპოზიციისგან, ირაკლი ზარქუა ამბობს, რომ თუ პრეზიდენტის ინიციატივა სააკაშვილის პატიებას ნიშნავს, ეს გამორიცხულია! თავის მხრივ, "ნაციონალები" გამორიცხავენ შერიგების პროცესის დაწყებას, თუ სააკაშვილი ციხეში იქნება. ამასთან, ოპოზიციის ზოგიერთმა წევრმა მაგალითად, გიგა ბოკერიამ, პრეზიდენტის სასახლეში გამართულ საახალწლო ღონისძიებას ფარსი, რომან გოცირიძემ კი დისკოთეკა უწოდა. **სად გადის ზღვარი შერიგება-მორიგებასა და კანონსა და მორალს შორის?-ესაა კითხვა, რომელიც საზოგადოების ნაწილს აწუხებს.**

„შერიგება, პატიება თუ მონანიება სუბიექტური ხასიათისაა და პიროვნება საკუთარი მორალური ღირსებიდან და რწმენიდან გამომდინარე თავად წყვეტს. მაგრამ შერიგება თუ პატიება სახელმწიფოს, ხალხის თუ კერძო ადამიანის ხარჯზე, რომლებსაც, წაართვეს სიცოცხლე, ქონება, მომავალი, სამართალი, დააზიანეს, გაქურდეს, ჩამოშალეს, გაყიდეს, გაწირეს, გაუყალბეს, ქვეყნიდან გადახვეწეს და ა. შ. არის მზაკვრული გარიგება. როდესაც სამართლიანი მსჯავრი დაედება ყველას, ვინც ეს ჩაიდინა, რომელსაც მომავლისთვის შემაკავებელი მაგალითის ძალაც ექნება, მაშინ შევდგებით საზოგადოებად და სახელმწიფოდ-აცხადებს ლეიბორისტული პარტიის წარმომადგენელი და დასძენს, რომ „Dura lex, sed lex-კანონი მკაცრია, მაგრამ კანონია."

მორალი „უფრო ძველია", ვიდრე კანონი თავისი ისტორიული პირველყოფილობით. ზნეობრივი რეგულაცია ყოველთვის არსებობდა საზოგადოებაში,ვინაიდან ეს არის „მახასიათებელი, რომელიც აშორებს ცხოველთა საზოგადოებას ადამიანისგან" (ჩარლზ დარვინი). „ზნეობრივი კანონების ავტორიტეტი უსასრულოდ მაღალია", - ამბობს ჰეგელი. კანონის მორალური არასრულყოფილება დანაშაულისა და სასჯელის მექანიზმში ვლინდება. კანონის აღსრულება არამარტო არ აღადგენს სამართლიანობას, არამედ იწვევს მის ორმაგ დარღვევას: ჯერ დამნაშავე კვეთს კანონის ზღვარს, შემდეგ კი ჯალათი უარყოფს უმაღლეს მცნებას „არ მოკლა", ხელყოფს ადამიანის სიცოცხლეს. მხოლოდ სიყვარულს, პატიებას და შერიგებას შეუძლია მორალური სამართლიანობის აღდგენა-ეს ძველი ფილოსოფოსების აზრია.

ჰუმანისტი ადამიანები ყოველთვის განსხვავდებოდნენ პოლიტიკოსებისგან თავიანთი მიდგომებით და მათი აზრით, ყველაზე დიდი სამართლიანობა პატიებასა და შერიგებაზე იდგა. მაგრამ რა ვუყოთ ცნობილ ფრაზას, რომელიც კანონის უზენაესობას მკაცრად გვახსენებს და ერთგვარად გვავალდებულებს კიდეც, რომ სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპების დაცვა აუცილებელია?!

არ მოვიტყუებით, თუ ვიტყვით, რომ კანონის აღსრულება, ეს არის სოციალური „სამართლიანობის" თამაში, რომელიც საზოგადოებაში ადამიანური ურთიერთობების აღდგენის ადგილს არ ტოვებს. პოლიტიკა კი უკვე დიდი ხანია, იქცა თამაშების, გარიგებების ნაწილად, სადაც, როგორც საჭადრაკო დაფაზე, ყველა ფიგურას თავისი მისია აკისრია. ამიტომ საზოგადოება დაბნეულია, ვერ გაუგია, რომელ მხარესაა გულწრფელობა და სიმართლე, ან „სადაა ძაღლის თავი დამარხული"... **და სანამ ამ გამოცანების ამოხსნაში არიან, პოლიტიკური თამაში მალე სრულდება და „პოსტ- ფაქტუმ" ხვდებიან ადამიანები, რომ პოლიტიკურ დაფაზე კანონსა და ზნეობას ერთად ცხოვრება არ შეუძლიათ.**

ცნობილ გამონათქვამს-„კანონი მკაცრია, მაგრამ კანონია", სრულად იზიარებს ბაჩუკი ქარდავა, რომელიც თვლის, რომ შერიგების პროცესი არ უნდა იქცეს ვინმეს ხელისუფლების შენარჩუნებისთვის ვაჭრობად. "შერიგება, რომელიც რეალურად ნიშნავს მორიგებას, კარგია, მაგრამ პროცესი არ უნდა იქცეს ვაჭრობად ვინმეს ხელისუფლების შენარჩუნებისთვის! არც პოლიტპატიმარ სააკაშვილის განთავისუფლებაა ამ პროცესის მიზანი, მესამე პრეზიდენტი თავიდანვე უნდა იყოს ამ ინიციატივაში მთავარი სუბიექტი, როგორც ყველაზე გავლენიანი აქტორი! მიზანი და შედეგი ასეთი პოლიტიკური პროცესებისა ყოველთვის იყო ხელისუფლებების ცვალებადობის საარჩევნო გზის დამკვიდრება და მისი უმტკივნეულო პროცესად ქცევა! ხალხის არჩევანის უპირობო მიღება, როგორც ოპოზიციის, ისე ხელისუფლებისთვის, კომპრომისების პირობებშიც ხელუხლებელი პრინციპი უნდა იყოს!"

ვნახოთ,გამოიღებს თუ არა შედეგს დიდი შერიგების მცდელობა და გაამართლებს თუ არა გადატვირთვა ქართულ პოლიტიკაში...

მოამზადა

ინგა შიოლაშვილმა

ბრაზილიაში პირველი ქართული მარანი გაიხსნა

2021 წლის 19 დეკემბერს ბრაზილიის გოიასიის შტატში, საქართველოს საელჩოს მხარდაჭერით, გაიხსნა პირველი ქართული მარანი "გორანგი" და გაიმართა ქვევრის გახსნის ცერემონია. მოწვეულ სტუმრებს საშუალება ჰქონდათ გაცნობოდნენ ქვევრში ღვინის დაყენების ქართულ ტრადიციას და ქვევრიდან დაეგემოვნებინათ ძველი ქართული ტრადიციული მეთოდით დაყენებული ღვინო.

ასევე წარმოდგენილი იყო ქართული ღვინის მწარმოებელი კომპანიების და მარნების მიერ დამზადებული ქართული ღვინოები, რომლთაგან განსაკუთრებული მოწონება დაიმსახურა შალვა ნატოშვილის ქვევრის ღვინომ "კახური მცვივანი" და "ნოდარ ბაღაშვილის მარნის" ქვევრის ღვინომ "რქაწითელმა".

საქართველოს, ქართული კულტურის და ტრადიციების პატივსაცემად გაიხსნა მემორიალური კედელი საქართველოს დროშის გამოსახულებით.ღონისძიებას ესწრებოდნენ ჟურნალისტები, ტურისტული სააგენტოების წარმომადგენლები, ბრაზილიის სომელიეთა ასოციაციის პრეზიდენტი, აგრეთვე, საქართველოთი და ქართული კულტურით დაინტერესებული პირები.

C M Y K

ყველა რეგიონში საახალწლო ღონისძიებები გაიმართება



პრემიერ-მინისტრის ინიციატივით, 24 დეკემბრიდან 8 იანვრის ჩათვლით, საქართველოს ყველა რეგიონში საახალწლო ღონისძიებები გაიმართება.

63-ე მუნიციპალიტეტში მოეწყობა საშობაო ბაზრობები, გამოფენა- გაყიდვები, საბავშვო გასართობი სივრცეები. ტერიტორიაზე განთვასდება ხის საახალწლო სახლები, ფოტოგადასაღები სტენდები და ინსტალაციები.

* მუნიციპალიტეტებში მცხოვრებ პატარებს თოვლის პაპა ტკბილეულსა და საჩუქრებს გადასცემს.

* საღამოს საათებში, როგორც ადგილობრივი, ასევე, დედაქალაქიდან მოწვეული შემსრულებლების მონაწილეობით გაიმართება კონცერტები.

* ღონისძიებებზე დაცული იქნება კოვიდ რეგულაციები.

* საახალწლო ღონისძიება დედოფლისწყაროს კულტურის სახლის ეზოში 30 დეკემბერს, 14 საათიდან დაიწყება.

* დღის პირველი ნახევარი დაეთმობა ბავშვთა გასართობ კონცერტებსა და აქტივობებს. მთელი დღის განმავლობაში იქნებიან ანიმატორები და ზღაპრის გმირები. ტერიტორიაზე მოეწყობა ფერადი გასაბერი ბატუტი.

* 14:00 საათიდან იქნება სანტა, რომელიც სანტას სახლში უმასპინძლებს ბავშვებს თუ მოზარდებს. ასევე სანტასთან მისულ ბავშვებს დაურიგდება ტკბილეული.

* სცენაზე 14:00 საათიდან დაიწყება „მეკო სტუდიას“ საბავშვო კონცერტი 1,5 საათიანი პროგრამით.

* ღონისძიების წამყვანი: თათია ქვრივიშვილი.

* სცენა დაეთმობა დედოფლისწყაროს საბავშვო მუსიკალურ და ქორეოგრაფიულ ანსამბლებს.

*18:00 - სალიო

* ასევე ტერიტორიაზე მთელი დღის განმავლობაში მოეწყობა საშობაო ბაზრობა / გამოფენა-გაყიდვა (Christmas market)

* ტერიტორია გაფორმებული იქნება სხვადასხვა საახალწლო ინსტალაციით და დეკორაციით.

* ღონისძიებას დაასრულებს საზეიმო ფოიერვერკი.

ქ. დედოფლისწყაროში ცნობილი სუპერმარკეტების ქსელ „იოლის“ ფილიალი გაიხსნა

ქ. დედოფლისწყაროში ცნობილი სუპერმარკეტების ქსელ „იოლის“ ფილიალი გაიხსნა.

გახსნის ღონისძიებას დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერი ნიკოლოზ ჯანიაშვილი მოადგილეებთან ერთად დაესწრო. ნიკოლოზ ჯანიაშვილმა მუნიციპალიტეტის მოსახლეობას ,,იოლის“ გახსნა მიულოცა და აღნიშნა, რომ დედოფლისწყაროში კიდევ ერთი ცნობილი ბრენდის შემოსვლა ძალიან მნიშვნელოვანია ეკონომიკური და სოციალური თვალსაზრისით.

სუპერმარკეტის მისამართია ქ. დედოფლსწყარო, მეგობრობის ქ. N3(ყოფილი ,,ახალი ერა“).

საქართველოში უქმე დღეები ცხადდება

1-დან 10 იანვრამდე საჯარო უწყებებში უქმე დღეები გამოცხადდა, - აღნიშნული გადაწყვეტილება უწყებათაშორისმა საკოორდინაციო საბჭომ მობილობის შემცირების მიზნით მიიღო. ანალოგიური რეკომენდაციით მიმართავს საბჭო კერძო დაწესებულებებსაც. სხდომაზე, რომელიც პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის ხელმძღვანელობით, დღეს მთავრობის ადმინისტრაციაში გაიმართა, აღინიშნა, რომ 29 დეკემბრიდან 17 იანვრამდე არდადეგები გამოცხადებულია სკოლებში. ამასთან, საბჭომ იმსჯელა საქართველოში არსებულ ეპიდემიოლოგიურ მდგომარეობაზე. როგორც ცნობილია, 20 დეკემბერს ქვეყანაში დაფიქსირდა კორონავირუსის ახალი შტამი - „ომიკრონი“, რასთან დაკავშირებითაც საბჭოს წევრებს დეტალური ინფორმაცია დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელმა ამირან გამყრელიძემ მიაწოდა. „ომიკრონის“ გავრცელებით გამოწვეული ახალი გარემოებების გათვალისწინებით, საკოორდინაციო საბჭომ ამ ეტაპზე მიზანშეწონილად არ მიიჩნია დამატებითი შემსუბუქების ღონისძიებებზე გადაწყვეტილებების მიღება, მათ შორის ღამის კლუბების გახსნა. უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭო მოქალაქეებს მიმართავს, ატარონ პირბადე, დაიცვან სოციალური დისტანცია და აქტიურად ჩაერთონ ვაქცინაციის პროცესში, რათა ქვეყანაში მკაცრი შემზღუდავი ღონისძიებების დაწესების აუცილებლობა არ დადგეს. პრემიერ-მინისტრის დავალებით, ქვეყანაში მოქმედი რეგულაციების აღსრულება შესაბამისი უწყებების მხრიდან მკაცრად გაკონტროლდება. პრემიერ-მინისტრის ხელმძღვანელობით მოქმედი უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს მუშაობაში აქტიურად მონაწილეობს საქართველოს პარლამენტი და პრეზიდენტის ადმინისტრაცია.

მთავრობათაშორისი ეკონომიკური კომისიის სხდომა გაიმართა

საქართველოსა და სომხეთის პრემიერ-მინისტრების თავმჯდომარეობით, მთავრობის ადმინისტრაციაში ორი ქვეყნის მთავრობათაშორისი ეკონომიკური კომისიის სხდომა გაიმართა.

კომისიის სხდომა ირაკლი ღარიბაშვილმა და ნიკოლ ფაშინიანმა გახსნეს.

საქართველოს მთავრობის მეთაურმა სომეხ კოლეგას საქართველოში ვიზიტისთვის მადლობა გადაუხადა და ყურადღება გაამახვილა ორ ქვეყანას შორის არსებულ მჭიდრო თანამშრომლობაზე.

„მოგესალმებით ბატონო პრემიერ-მინისტრო, პატივცემულო დელეგაციის წევრებო, ძვირფასო სტუმრებო, ჩემთვის დიდი პატივია გიმასპინძლოთ საქართველოში. მივესალმები ჩემს მეგობარს, პრემიერ-მინისტრ ნიკოლ ფაშინიანს თბილისში. ამ წელს ეს თქვენი რიგით მეორე ვიზიტია საქართველოში. ერევანში ოფიციალური ვიზიტით ორჯერ ვიყავი და სიამოვნებით და კმაყოფილებით მინდა აღვნიშნო, რომ ეს მართლაც მიუთითებს მჭიდრო ურთიერთობაზე, თანამშრომლობაზე, კეთილგანწყობაზე, რომელიც ჩვენს შორის არსებობს და მე მინდა ამ განწყობისა და დამოკიდებულებისთვის მადლობა გადაგიხადოთ. მადლობა მინდა გადაგიხადოთ იმისთვის, რომ ჩვენი ინიციატივით და მოლაპარაკებით დღეს გამართული ეკონომიკური თანამშრომლობის მთავრობათაშორისი კომისია ჩვენს დონეზე, პრემიერ-მინისტრების დონეზე იმართება. რა თქმა უნდა, თქვენი პირადი ჩართულობით განახლდა ეს კომისია, რომელიც წლების განმავლობაში არ იმართებოდა. რა თქმა უნდა, ჩვენ დაინტერესებული ვართ, რომ ჩვენს შორის არსებული ძალიან მჭიდრო, მეგობრული თანამშრომლობა კონვერტირდეს რეალურ საქმედ. უნდა განვავითაროთ მჭიდროდ ჩვენი სავაჭრო და ეკონომიკური ურთიერთობები, ვისაუბროთ რეგიონულ პროექტებზე, ინფრასტრუქტურაზე, სხვა პროექტებზე, რომელიც საინტერესო იქნება ორივე ქვეყნისთვის. სწორედ ამ მიზნით, ამ მოტივით შევიკრიბეთ დღეს. ჩვენს შორის ურთიერთობა უმაღლეს დონეზეა. სიამაყით და სიამოვნებით უნდა ითქვას, რომ ასეთი ურთიერთობა არ ყოფილა ჩვენს ქვეყნებს შორის. ჩვენ, რა თქმა უნდა, ყოველთვის გვქონდა ძალიან მჭიდრო და მეგობრული ურთიერთობა, მაგრამ უნდა ითქვას, რომ სწორედ ჩვენი დამსახურებაა ის, რომ ჩვენს მთავრობებს, ქვეყნებს შორის არავითარი გაუგებრობა არ არსებობს და მართლაც იდეალური ურთიერთობა გვაქვს. ჩვენ დაინტერესებული ვართ, რომ რეგიონში იყოს მშვიდობა და სტაბილურობა. საქართველო ყოველთვის არის მოტივირებული, რომ ამ პროცესში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი როლი შეასრულოს და სწორედ ამ მიზნით გავაჟღერე „მშვიდობიანი სამეზობლოს ინიციატივა“. მინდა, დაგიდასტუროთ, ბატონო პრემიერ-მინისტრო, რომ ჩვენ ყოველთვის მზად ვართ, მივიღოთ მონაწილეობა რეგიონის მასშტაბით და წვლილი შევიტანოთ რეგიონში მშვიდობის და სტაბილურობის განვითარებაში“, - განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

საქართველოს მთავრობის მეთაურს სომხეთის დელეგაციის მაღალ დონეზე მასპინძლობისთვის მადლობა გადაუხადა სომხეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრმა.

„ღრმად პატივცემულო პრემიერ-მინისტრო, ძვირფასო ირაკლი, სხდომის პატივცემულო მონაწილეებო, ქალბატონებო და ბატონებო, გულითადად მივესალმები საქართველოს პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილს და სომხეთის რესპუბლიკასა და საქართველოს შორის ეკონომიკური თანამშრომლობის მთავრობათაშორისი კომისიის მე-11 სხდომის მონაწილეებს. უპირველეს ყოვლისა, მინდა მადლობა გადავუხადო ჩვენს ქართველ კოლეგებს ტრადიციული, თბილი მიღებისთვის.

კმაყოფილებით მინდა დავაფიქსირო, რომ მიუხედავად სიძნელეებისა, დღეს ჩვენი ქვეყნების ურთიერთობები ხარისხობრივად ახალ ეტაპზე გადავიდა და წარმატებები დაფიქსირდა სხვადასხვა სფეროში. 2019 წელს ჩვენ საქართველოსთან ამბიციური თამასა განვსაზღვრეთ, მიზნად დავისახეთ ჩვენი ორმხრივი სავაჭრო ბრუნვის მოცულობის გაზრდა 1 მილიარდ დოლარამდე. კოვიდ-პანდემიამ შეანელა ეს პროცესი, მაგრამ ახლა, როდესაც ვსწავლობთ კოვიდის პარალელურად ცხოვრებას, წინადადება მაქვს, განვაგრძოთ ჩვენი მიზნის მისაღწევი ყველა მიმართულებით მუშაობა და აუცილებლად მივაღწიოთ 1 მილიარდ დოლარამდე ჩვენი ქვეყნების სავაჭრო ბრუნვას. მართალია, გვაქვს შემოთავაზება, მაგრამ უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს ძალზედ ამბიციური საკითხია და ხაზი მინდა გავუსვა, რომ მართალია, მიმდინარე წლის 10 თვის ჩვენი ურთიერთვაჭრობის მაჩვენებელმა უკვე გადააჭარბა წინა 3 წლის წლიურ მაჩვენებელს, მაგრამ ჯერ შორს ვართ 1 მილიარდის მიღწევამდე. ეკონომიკური ურთიერთობების მთავრობათაშორისმა კომისიამ შექმნა საუკეთესო პირობა იმისა, რომ კომისიას დღეს უკვე თავმჯდომარეობს ორი ქვეყნის ხელმძღვანელი, ესეც უპრეცედენტოა. მთავრობათაშორისი კომისიის ეს სხდომა უნდა ჩატარებულიყო გასულ წელს, რაც პანდემიის გამო ვერ ჩატარდა, მაგრამ ჩვენი ორმხრივი ურთიერთობები, როგორც ჩვენს დონეზე, ასევე დარგობრივი პასუხისმგებლობის დონეზე, იმართებოდა დინამიურად. დღეს ჩვენი ორმხრივი დღის წესრიგი მოიცავს მრავალ სფეროს. ორ ქვეყანას შორის მეგობრული ურთიერთობები კი ხელს უწყობს ჩვენს რეგიონში უსაფრთხოების და სტაბილურობის შენარჩუნებას, რის მნიშვნელობაზეც უკვე ისაუბრა ბატონმა პრემიერმა.

საქართველო-სომხეთის სავაჭრო-ეკონომიკური თანამშრომლობის სფეროში ჩამოყალიბდა მკაფიო მიმართულებები, რომლებიც მოიცავს ტრანსპორტისა და ენერგეტიკის მაღალი ტექნოლოგიების, ტურიზმისა და სხვა სფეროებს. საქართველოსა და სომხეთს შორის ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთი წინაპირობაა ურთიერთნდობა, რომელიც დამყარებულია ჩვენი ხალხების ისტორიულ მეგობრობაზე. მინდა, ხაზი გავუსვა ჩვენი ურთიერთობების ადამიანურ და ემოციურ სფეროს. ეს ეხება არა მხოლოდ ჩემსა და ბატონ ღარიბაშვილს შორის ურთიერთობებს, არამედ თანამშრომლობას ჩვენს მთავრობებს შორის. ჩვენი ხალხები ცხოვრობენ მეგობრულად და ეს ხდება არა იმიტომ, რომ ჩვენს მთავრობებს აქვთ ოფიციალური, არამედ ადამიანური ურთიერთობა. ჩვენ ეს ნდობა უნდა გავაღრმავოთ. სომხეთისა და საქართველოს ხელმძღვანელების შეხვედრები პერიოდულია. ჩვენ გვაქვს შესაძლებლობა, ჩვენი ურთიერთობების მრავალი სფერო განვიხილოთ. წელს მე და ბატონი პრემიერი უკვე ოთხჯერ შევხვდით. მსგავსი განვითარება ჩვენს ქვეყნებს შორის არ ყოფილა და ეს საფუძველია იმისა, რომ შევძლოთ ეკონომიკური ურთიერთობების ახალი დონის განსაზღვრა და ჩვენი ურთიერთობების ტრადიციული დონე უფრო ავამაღლოთ. კიდევ ერთხელ მადლობას ვუხდი საქართველოს მთავრობას სომხეთის დელეგაციის მაღალ დონეზე მიღებისთვის“, - განაცხადა ნიკოლ ფაშინიანმა.

მთავრობათაშორისი ეკონომიკური კომისიის სხდომის დასრულების შემდეგ, საქართველოსა და სომხეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრებმა ხელი მოაწერეს საქართველოსა და სომხეთის რესპუბლიკას შორის ეკონომიკურ საკითხებზე თანამშრომლობის მთავრობათაშორისი კომისიის მე-11 სხდომის ოქმს.

კომისიის სხდომაში საქართველოსა და სომხეთის მთავრობის წევრები და შესაბამისი უწყებების წარმომადგენლები მონაწილეობდნენ.

მომავალი თაობის წარმატება მათი დამსახურებაა...

23 დეკემბერს დედოფლისწყაროს მეორე საჯარო სკოლის დაწყებითი კლასების კარი ხანგრძლივი პაუზის შემდეგ სტუმრებისთვის კვლავ გაიღო. საზეიმო ვითარება სუფევდა მესამე კლასში, სადაც მუსიკის მასწავლებელს-ნინო ალადაშვილს ბავშვები სპეციალური ნომრებით ჰყავდა მომზადებული მათი პედაგოგის-მანანა შანშიაშვილის „დამსახურებული მასწავლებლის“ დაჯილდოვების ცერემონიალისთვის.

„დამსახურებული პედაგოგების“ დაჯილდოებას საფუძველი რამდენიმე წლის წინ ჩაეყარა მათი დამსახურებისა და ღვაწლის ჩვენებისთვის. ქალბატონ მანანას რესურსცენტრის ხელმძღვანელმა ეთერ ზურიკაშვილმა განათლების სამინისტროს მიერ „დამსახურებული მასწავლებლის“ ჯილდო გადასცა. ამ ჯილდოს მფლობელი მეორე პედაგოგია მთელს მუნიციპალიტეტში მანანა მახარობლიშვილი, იგი პირველად პედაგოგ გულნარა ტვილდიანს ერგო.

„გერქვას დამსახურებული მასწავლებელი, ეს განსაკუთრებული პატივი და სტატუსია პედაგოგის ცხოვრებაში. მანანა მასწავლებელმა მისი 45 წლიანი პედაგოგიური მუშაობის პერიოდში ეს ნამდვილად დაიმსახურა. მას განსაკუთრებული წვლილი მიუძღვის ამ პროფესიის წინაშე. 45 წლიანი სამუშაო გამოცდილების მიუხედავად, იგი პროფესიულ განვითარებაზე გამუდმებით ზრუნავს. მადლობა ქალბატონო მანანა, თავდაუზოგავი შრომისა და ერთგულებისთვის. გისურვებთ ბედნიერ, ხალისიან და მშვიდობიან დღეთა სიმრავლეს, გეხაროთ და გეამაყოთ თქვენი მშობლიური სკოლის წინსვლით და წარმატებებით. ჩვენ კი ამაყები ვართ იმით, რომ თქვენთან თანამშრომლობის ბედნიერება გვხვდა წილად“ - განაცხადა თავის

გამოსვლაში რესურსცენტრის უფროსმა ეთერ ზურიკაშვილმა. დაჯილდოვებაზე სიტყვით გამოვიდნენ და მადლობა გადაუხადეს მანანა მასწავლებელს სკოლის წინაშე მისი ღვაწლისთვის და განსაკუთრებული კოლეგიალობისთვის მეორე საჯარო სკოლის დირექტორმა ლალი იაკობიშვილმა, სასწავლო ნაწილის გამგემ - ნათია პოპიაშვილმა, ისტორიის მასწავლებელმა ნონა ტოკლიკიშვილმა, დაწყებითი განათლების პედაგოგმა მზია არაბულმა და ბიოლოგიის მასწავლებელმა გულნარა ღორაშვილმა, რომელმაც კოლეგებთან ერთად ქალბატონ მანანას ქორწინებიდან 50 წლის საიუბილეო თარიღიც მიულოცა. ძალიან ამაღელვებელი და ემოციური იყო როგორც მანანა მასწავლებლისთვის, ისე დამსწრე საზოგადოებისთვის აშშ-დან ყველასთვის საყვარელი ლალი მასწავლებლის (აბაშიძის) მოლოცვა და ისრაელიდან ყოფილი მოსწავლის-ეკა ხატიაშვილის ვიდეო მიმართვა. ღონისძიების დასასრულს ქალბატონმა ეთერ ზურიკაშვილმა კიდევ ერთხელ მადლობა გადაუხადა სკოლის თითოეულ პედაგოგს, განსაკუთრებული აქტივობისთვის კი ნონა ტოკლიკიშვილს პერსონალური მადლობა გამოუცხადა.

ელზა ხარაშვილი

„ჯილდო ეს ხალხის სიყვარულია, რომელიც კი კაცობრიობას გამოუგონია“

შოპენი, თაქთაქიშვილი, აზარაშვილი, ცაბაძე, მსოფლიო დონის ქართველი საოპერო შემსრულებლები, ახალგაზრდა, დამწყები ხელოვანები, სახელოვნებო სფეროს ცნობილი და ღირსეული წარმომადგენლები, პოეტები, მწერლები და უბრალოდ, საკუთარ საქმეში წარმატებული ადამიანები - სწორედ ეს ხალხი გააერთიანა 20 დეკემბერს საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის კედლებმა.

საქართველოს ეროვნულ ბიბლიოთეკაში გამართულ ღონისძიებაზე 21-საუკუნის პირველი ოცწლეულის საუკეთესო ხელოვანები/შემოქმედები გამოვლინდნენ. შემოქმედები „საქართველოს ლირიკის“ მიერ ჩატარებული გამოკითხვით მოსახლეობამ აირჩია. დაჯილდოვებისა და შეხვედრის შემდეგ გამარჯვებულთა საპარტივსაცემოდ გალა კონცერტიც გაიმართა.

ნანა ჭიჭინაძე, ღონისძიების ორგანიზატორი, ჟურნალისტი: „დღევანდელი ჩვენი ღონისძიება ეძღვნება 21-ე საუკუნის პირველი ოცწლეულის ხელოვანებს, რომლებიც მოსახლეობის გამოკითხვის შედეგად დასახელდნენ. ესენი გახლავთ კომპოზიტორები, რეჟისორები, მხატვრები და პოეტები. მათი ხუთეული ასე გამოიყურება:

რეჟისორები: რობერტ სტურუა, მერაბ კოკოჩაშვილი, მედეა კუჭუხიძე, თემურ ჩხეიძე, ელდარ შენგელაია;

კომპოზიტორები: ვაჟა აზარაშვილი, ნუნუ გაბუნია, ნუნუ დულაშვილი, კახა ცაბაძე, მაცაცო სებისკვერაძე;

მხატვრები: თემო გოცაძე, გივი თოიძე, ჯემალ კუხალაშვილი, შალვა მატუაშვილი, გოგი ჩაგელიშვილი;

პოეტები: რეზო ამაშუკელი, დათო მაღრაძე, თემურ ჩალაბაშვილი, ტარიელ ხარხელაური, მზია ხეთაგური;

ეს ღონისძიება სწორედ ამ ხელოვანებს მიეძღვნათ. ღონისძიებას სწორედ 21-ე საუკუნის პირველი ოცწლეულის ნომინაციაში დასახელებული: მედეა ამირანაშვილი, ვაჟა აზარაშვილი, კახა ცაბაძე და სხვები ესწრებოდნენ. ასევე საქართველოს მწიგნობართა ასოციაციისა და კულტურის სამინისტროს წარმომადგენელი ბატონი სოსო ჭუმბურიძე.“

ვაჟა აზარაშვილი, კომპოზიტორი: „მინდა, უპირველესად, მადლობა გადავუხადო ნანა ჭიჭინაძეს, თავისი საქმიანობისთვის, რადგან, მიუხედავად იმისა, რომ მისი მშობლიური ბინა არის დედოფლისწყაროში, ის თბილისში მაინც ეწევა აქტიურ კულტურულ და ჟურნალისტურ საქმიანობას. განსაკუთრებულადაა ჩართული ქართული ხელოვნების განვითარებაში. განსაკუთრებით დასაფასებელია მისი შრომა ამ კორონაპანდემიის დროს. დღევანდელი ღონისძიებაც ამისი ნათელი მაგალითია, რადგან მან შეძლო და შეკრიბა ასეთი ძვირფასი ხალხი. მადლობა ამ ადამიანებს, რომ მოვიდნენ დღეს აქ. ჩვენთვის ეს შეხვედრები არის სტიმული, რათა მომავალში უფრო მეტად გაგახაროთ და შევქმნათ ღირებული ნანარმოებები“.

კახა ცაბაძე, კომპოზიტორი: „დიდი მადლობა მოწვევისთვის, დღევანდელი დღისთვის. რამდენი ხანია ასეთი დიდი და კარგი ხალხი ერთად არ შეკრებილა. რამდენადაც ვიცით, ბოლო დროს იშვიათად ტარდება სასიხარულო ღონისძიებები, ამიტომ მინდა ვისურვო, რომ 2022 წელი იყოს ბედნიერებისა და სიხარულის მომტანი წელინადი.“

ღონისიძებას, გარდა მუსიკალური ნომრებისა, უნიჭიერესი დედოფლისწყაროელი, ახალგაზრდა პოეტის მარიამ ტოხიშვილის ლექსებიც ამშვენებდა. გარდა ამისა, მისმა გამოსვლამ, სადაც თემურ ჩალაბაშვილის ცნობილი ლექსებიც წაიკითხა, საზოგადოება სრულად აღაფრთოვანა. დადებითი ემოციებით განეწყო თავად ლექსების ავტორიც.

თემურ ჩალაბაშვილი, პოეტი: „უპირველესად, მოგილოცავთ ყველა ქრისტიანულ დღესასწაულს! ამ სევდანარევ დღეებში, სევდა და სიხარული ერთად გვაქვს გადასატანი ქართველებს. მართალია ეს ცხოვრება ძნელი გადასატანია, მაგრამ, ერთად უნდა გადავლახოთ ყველა სიძნელე. ოდითგან ასე იყო ქართველებში, ყოველთვის რაღაც ხდებოდა ერში. ამას კი მოვესწაროთ ჩვენ, განვიცდიდით, ამიტომ ახლაც უნდა გავუძლოთ დროს. ისე არ მოველოდი რომ ჩემს პატარა ლექსებს წაიკითხავდნენ, დავიბენი და აღარ ვიცი რომელი ლექსით წარვსდგე თქვენს წინაშე, რადგან რისი წაკითხვის სურვილიც მქონდა, ყველა ლექსი გაჟღერდა. თუმცა, ერთ პატარა ლექსს შემოგთავაზებთ:

„ვცხოვრობ უფლის განაჩენით,
მწამს ღმერთი და სული წმინდა
სხვა ჯანდაბას დანარჩენი,
ქვეყნის გადარჩენა მინდა...“

ტარიელ ხარხელაური, პოეტი: „ჩემო ძვირფასებო, მინდა კიდევ ერთხელ გამოვხატო ჩემი პატივისცემა და მადლიერება დამსწრე საზოგადოების მიმართ. ზოგადად არ მიყვარს როდესაც რაიმე სახით გამომარჩევენ ხოლმე, რადგან იმდენი ადამიანია ჩემს უკან და ჩემს წინ, რომ მათ მიმართ გარკვეული მოკრძალების მომენტი ჩნდება და ბოდიშის მოხდა მინდება ხოლმე. ჩემთვის ნებისმიერი ჯილდო ეს ხალხის სიყვარულია, რომელიც კი კაცობრიობას გამოუგონია. სხვა დანარჩენიც ამ სიყვარულის შემადგენელი ნაწილია. ვალდებული ხარ რომ პატივი მიაგო ასეთ დამსახურებას და ღირსეულად მოექცე მას. მინდა ამ ლექსით დავასრულო ჩემი დღევანდელი სამადლობელი სიტყვა:

„დაზამთრდა... თოვლი არც ისე მიკვირს
და არც სიცივე - სისხლში რომ ატანს
მე მეშინია ამ ატმის კვირტის - გაზაფხულზე
რომ ვერ გახსნას მარტმა.
მე მეშინია დამშრალი ღელის, თოვლის ქვეშ წევს
და უგონოდ სძინავს,
და გვირილათა გაუინულ ველის გამოღვიძება
ვერ შესძლოს წვიმამ.
დასაწყისი არ მაფიქრებს ზამთრის - როგორ შევხვდები ზამთრის დასასრულს?!
ვაი, თუ ისევ დავობდე სახლში, რომ ცეცხლთან
მჯდომი დავზვდე გაზაფხულს.
მე მეშინია შენი - შენს გამო, არა თებერვლის
ცივი ქარების,
გავიღვიძო და აღარ ვეწამო, არ მომწყურდე და
არ შეეკარები.
გავიღვიძო და მთათა კალთებზე აღარ მიცდიდნენ ლეგა ნისლები,
იქნებ სჯობია, აღარ გავთენდე, მოვკვდე და ნუღარ გარდავიცვლები.
არ მინდა შენი ჭკნობა ვიხილო, ვიხილო შენი
დაშლა ფერებად,
ჩემს მერე შენთან მოვა სიკვდილი და მკერდზე
ცივად მოგეფერება.
დაზამთრდა... თოვლი არც ისე მიკვირს, არც ეს
სიცივე - სისხლში რომ ატანს,
მე მეშინია ამ ატმის კვირტის - გაზაფხულდეს და
ვერ გახსნას მარტმა.“

ორგანიზატორმა ნანა ჭიჭინაძემ, ასევე დაასახელა წლის საუკეთესო გაზეთები. 2021 წლის გაზეთი გახდა „ლიტერატურული საქართველო“, ხოლო რეგიონებიდან დასახელდა გაზეთი „შირაქი“, რომელმაც სულ ცოტა ხნის წინ გამოუშვა საიუბილეო მე-10000 ნომერი და გაზეთი „ბორჯომი“. ორივე გაზეთის წარმომადგენლები, რომლებიც ესწრებოდნენ ღონისძებას, სამადლობელი სიტყვით წარსდგნენ საზოგადოების წინაშე:

ინგა შიოლაშვილი, გაზეთ „შირაქის“ მთავარი რედაქტორი: „გიდასტურებთ ყველას დიდ სიყვარულსა და მოწიწებას. როგორც ამბობენ „გემოვნებაზე არ დაობენ“. არ ვიცი, ვინ რა კრიტერიუმით დაგვასახელა, მაგრამ მადლობის მეტი რა გვეთქმის. ორიოდე სიტყვით მოგახსენებთ ,ვინ არის გაზეთი „შირაქი“. ვიტყვი „ვინ“, რადგან მიმაჩნია, რომ გაზეთიც ცოცხალი ორგანიზმია. ჩვენი გაზეთი მუნიციპალიტეტის ცოცხალი მემატიანეა, რომელიც წელს 84 წლის გახდა და დღეს, მთელს კახეთში ის ერთადერთი ბეჭდური მედიაა. სამწუხაროდ, სხვა მუნიციპალიტეტებში ყველა ბეჭდურმა გამოცემამ შეწყვიტა არსებობა. გაზეთი „შირაქი“ კი კვლავ განაგრძობს არსებობას თავისი მკითხველის ერთგულებითა და თითოეული ადამიანის თანადგომით. სულ ახლახანს დაიბეჭდა მე-10,000 საიუბილეო ნომერი და იმედი გვაქვს, რომ მომავალშიც გავაგრძელებთ როგორც ჩვენი მუნიციპალიტეტის, ასევე რეგიონისა და ქვეყნის ისტორიის წერას. დღევანდელ პოლარიზებულ საზოგადოებაში, ძნელია არსებობდეს დაბალანსებული მედია, არ ვიცით რამდენად გამოგვდის, მაგრამ ყველანაირად ვცდილობთ, არ ვიყოთ სუბიექტურები, შევინარჩუნოთ ის ობიექტურობის ნიშა, რომელიც, ვფიქრობ, ყველა მედიასაშუალებას უნდა გააჩნდეს. კიდევ ერთხელ დიდი მადლობა ამ შესანიშნავი საღამოსთვის.“

დალი ქურდაძე, გაზეთ „ბორჯომის“ კორესპონდენტი: „მე ერთი ბორჯომელი მოქალაქე ვარ, პროფესიით პედაგოგი და გაზეთ „ბორჯომის“ კორესპონდენტი. როდესაც გამოცხადდა, რომ ჩვენმა გაზეთმა გაიმარჯვა, ცრემლი მომერია. რატომ? იმიტომ რომ , ბორჯომში ძალიან ბევრი სანატორიუმია და მთელი ეს შენობები აივსო ლტოლვილებით. განადგურდა ყველაფერი, თითქოს ფრონტმა ჩაიარაო, მაგრამ მიუხედავად ამისა, გაზეთი მაინც ფუნქციონირებს, გაზეთი, რომელსაც 90 წელი შეუსრულდა. გაჭირვების მიუხედავად, ხალხი მაინც შედის ბიბლიოთეკაში და კითხულობს ჩვენს გამოცემას. მიუხედავად იმისა, რომ კვირაში ერთხელ გამოდის, მაინც ჭირს გამოწერა. სწორედ ამიტომ, გაზეთი „ბორჯომი“ რომ არსებობს და ასეთი დაფასებულია, ძალიან სასიხარულოა“.

ღონისძიების დასასრულს, ორივე გაზეთს, მოწვეული კომპოზიტორებისგან გადაეცათ სიმბოლური საჩუქრები. დამსწრე საზოგადოება არაერთხელ გამხდარა მსგავსი კულტურული ღონისძიებების მომსწრე და მონაწილე. ამ ყველაფრის სულის ჩამდგმელი, გამაერთიანებელი და ორგანიზატორი, რომელმაც საზოგადოებას წარუდგინა დამწყები შემსრულებლები, ახალგაზრდა ხელოვანები და მათი პედაგოგები, გახდა დიდი წინაპირობა იმისა, რომ ის დაეჯილდოვებინათ შესაბამისი სიგელით. სწორედ ამიტომ, პოეტთა და შემოქმედებითი გაერთიანება „პიროვნების“ დამფუძნებლის მზია ხეთაგურის სახელით, ნანა ჭიჭინაძე უანგარო საზოგადოებრივი მოღვაწეობისთვის, საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტის საპატიო სიგელით დაჯილდოვდა. მან ამ ღონისძიებაზეც განსაკუთრებული სიხარული და ბედნიერება მიანიჭა მოწვეულ სტუმრებს. ქალბატონმა ნანამ მადლობა გადაუხადა მზია ხეთაგურს, რომელიც ასევე დასახელებულია საუკეთესო პოეტად, რომელიც ამავდროულად საეკლესიო უმაღლესი ჯილდოს წმ.გიორგის ოქროს ორდენის მფლობელია. მან დიდი პატივისცემა გამოხატა იმ სტუმრების მიმართ, რომლებიც დაესწრნენ და მათ მიმართაც, ვინც ვერ შეძლეს გარკვეული მიზეზების გამო ღონისძიებაზე დასწრება. მან განსაკუთრებული მადლობა გადაუხადა გაზეთ „შირაქსა“ და „ბორჯომს“, თანამშრომლობისა და დაფასებისთვის. განსაკუთრებული მადლობა დაიმსახურა ასევე ბადრი მაისურაძემ, თბილისის ოპერისა და ბალეტის სამხატვრო ხელმძღვანელმა, რომელმაც ღონისძიების ორგანიზატორებს უშუამდგომლა ახალგაზრდა ოპერის მომღერლებთან.

 აღსანიშნავია, რომ გალა კონცერტში მონაწილეობდნენ თბილისის ოპერის ახალგაზრდა სოლისტები - თბილისის ვოკალისტთა მეორე საერთაშორისო კონკურსის გამარჯვებული კონსტანტინე ყიფიანი, გიორგი ჭელიძე, მარიამ როინიშვილი, თბილისის კონსერვატორიის ასოცირებული პროფესორი ნათია ქავთარაძე და მისი მოსწავლეები, კომპოზიტორთა კავშირის ტრიო და სხვები, რომლებმაც უმშვენიერესი გალაკონცერტით ასიამოვნეს დამსწრე საზოგადოება. მათ კიდევ ერთხელ გაუთბეს გულები ადამიანებს იმ მშვენიერი და დიდებული მუსიკით, რომელიც სულ სხვა სამყაროში ამოგზაურებს ადამიანს და აბრძნობინებს, რომ სიცოცხლე ჯერ კიდევ ჩქეფს ადამიანების ძარღვებში, რომ სიცოცხლე ჯერ ისევ წყურია ადამიანს, მათ გვაჩვენეს რომ ხელოვნება არის სიცოცხლე!

ჟუჟუნა ყანჩაშვილი

„თბილისის მერიის თასი კიკბოქსინგში“

თბილისში სპორტის უნივერსიტეტში, კიკბოქსინგის ეროვნული ფედერაციის ბაზაზე გაიმართა ჩემპიონატი კიკბოქსინგში, „თბილისის მერიის თასი” სადაც მონაწილეობდა საქართველოს მასშტაბით მოქმედი გუნდების ორასზე მეტი სპორტსმენი მათ შორის სიღნაღის, რუსთავის,მარნეულის, თბილისის სამტრედიის, ოზურგეთის ქუთაისის, გორის, ქარელის და სხვა.

სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფებში. დაძაბულ ორთაბრძოლებში თავი გამოიჩინეს დედოფლისწყაროელმა კიკბოქსინგელებმაც.

ესენი არიან:

- **ლუკა ჩაჩანიძე,**
- **ლუკა ყაჭაშვილი,**
- **ნიკოლოზ თარალაშვილი,**
- **საბა ღვინეფაძე,**
- **ლუკა ტუმასიანი,**
- **დაჩი ალუღიშვილი.**

შეჯიბრის პარალელურად გაიმართა კიკბოქსინგის ეროვნული ფედერაციის (პრეზიდენტი გოჩა ჯავახია) ყრილობა, სადაც განიხილებოდა რიგი საკითხები კიკბოქსინგის სამომავლო განვითარებისთვის, როგორც უკვე ოლიმპიურ ოჯახში ჩართული სპორტის სახეობა.

შეიქმნა რეგიონალური კიკბოქსინგის და ტაილანდური კრივის ფედერაციები.

სასიხარულოა რომ ოლიმპიური კიკბოქსინგის და ტაილანდური კრივის განვითარება საქართველოში, აღმასვლას განაგრძობს.

სასკოლო შეჯიბრი ფრენბურთში

სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა ცენტრის სპორტდარბაზში გაიმართა სკოლებს შორის შეჯიბრება ფრენბურთში.

შეჯიბრებაში, დედოფლისწყაროს პირველი და მეორე სკოლის ასევე სოფელ ქვემო ქედის და სამრეკლოს სკოლები მონაწილეობდნენ.

ტურნირის გამარჯვებული პირველი საჯარო სკოლის გუნდი გახდა. ასევე გამოვლინდნენ ტურნირის საუკეთესო მოთამაშეები.

დედოფლისწყაროს ფრენბურთის ნაკრების გუნდის მწვრთნელია აბო მეხრიშვილი

შეჯიბრებას ესწრებოდა კახეთის ფრენბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ილია ჯაფოშვილი, რომელმაც გამარჯვებული გუნდები და სპორტსმენები დააჯილდოვა.

ერთა ლიგაზე საქართველოს ნაკრების მეტოქეების ვინაობა გაირკვა

ნიონში გამართულ წილისყრაზე ერთა ლიგაზე საქართველოს ნაკრების მეტოქეები გაირკვა - ჩვენი გუნდი C ლიგის მე-4 ჯგუფში ბულგარეთთან, ჩრდილოეთ მაკედონიასა და გიბრალტართან მოხვდა.

გუნდები ლიგებსა და ჯგუფებში ასე განაწილდნენ:

A ლიგა

I ჯგუფი: საფრანგეთი, დანია, ხორვატია, ავსტრია

II ჯგუფი: ესპანეთი, პორტუგალია, შვეიცარია, ჩეხეთი

III ჯგუფი: იტალია, გერმანია, ინგლისი, უნგრეთი

IV ჯგუფი: ბელგია, ნიდერლანდები, პოლონეთი, უელსი

B ლიგა

I ჯგუფი: უკრაინა, შოტლანდია, ირლანდია, სომხეთი

II ჯგუფი: ისლანდია, რუსეთი, ისრაელი, ალბანეთი

III ჯგუფი: ბოსნია, ფინეთი, რუმინეთი, მონტენეგრო

IV ჯგუფი: შვედეთი, ნორვეგია, სერბეთი, სლოვენია

C ლიგა

I ჯგუფი: თურქეთი, ლუქსემბურგი, ლიეტუვა, ფარერები

II ჯგუფი: ჩრდ. ირლანდია, საბერძნეთი, კოსოვო, კვიპროსი/ესტონეთი

III ჯგუფი: სლოვაკეთი, ბელარუსი, აზერბაიჯანი, ყაზახეთი/მოლდოვა

IV ჯგუფი: ბულგარეთი, ჩრდ. მაკედონია, საქართველო, გიბრალტარი

D ლიგა

I ჯგუფი: ლიხტენშტაინი, ყაზახეთი/მოლდოვა, ანდორა, ლატვია

II ჯგუფი: მალტა, კვიპროსი/ესტონეთი, სან-მარინო

ტურნირზე ჯგუფური ეტაპის 4 ტური მომავალი წლის ივნისში ჩატარდება, ხოლო 2 - სექტემბერში. ჯგუფში გამარჯვების შემთხვევაში საქართველოს ნაკრები ევროპის ჩემპიონატისთვის გამსვლელ ნახევარფინალს 2023 წლის 14 ან 15 ივნისს, მასში წარმატების შემთხვევაში კი ფინალს 18 ივნისს ჩაატარებს.

ეს რომ აღარასოდეს განმეორდეს

„დავიწუება ისტორიისა მომასწავლებელია ერის სულით და ხორცით მოშლისა, დარღვევისა და წარწყმედისაც. წარსული მკვიდრი საფუძველია აწმყოსი, როგორც აწმყო - მომავლისა. რომელია სიმაგრე ჩვენი ცხოვრებისა და რომელი სიფუძე და სისუსტე, ამას ახსნის ხოლმე მარტო ისტორია. და თუ იგი დავივიწყეთ, მაშ დაგვივიწყნია ჩვენი ცხოვრების სათავე, ჩვენი ცხოვრების საძირკველი და თუ ეს ასეა, რაღაზედ უნდა დავამყაროთ ჩვენი აწმყო, ჩვენი მერმისი?!“

ილია ჭავჭავაძე

ომმა, რომელიც 1939 წლის 1 სექტემბერს წამოიწყო გერმანიის ფაშისტურმა მთავრობამ და რომელიც ექვსი წელი გრძელდებოდა, უდიდესი ეკონომიკური და ფიზიკური ზიანი მოუტანა კაცობრიობას, შეიწირა გენოფონდის მატარებელი ახალგაზრდობა არაერთ ქვეყანაში ევროპასა თუ აზიაში, შორეულ აღმოსავლეთში. 3 სექტემბერსავე გამოუცხადა ომი გერმანიას ინგლისმა და საფრანგეთმა, მაგრამ გერმანიამ შეძლო აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოების და საფრანგეთის ოკუპირება. 1940 წლის 10 აპრილიდან გერმანიის მხარეზე ომში ჩაება ფაშისტური იტალიაც. 1941 წლის 22 ივნისს ფაშისტური გერმანიის ჯარები, ომის გამოუცხადებლად, შეიჭრნენ საბჭოთა კავშირში, რომელსაც ომი გამოუცხადეს, აგრეთვე, უნგრეთმა, რუმინეთმა, იტალიამ და ფინეთმა. მტრები ცდილობდნენ, „ელვისებური ომით“ დაემარცხებინათ საბჭოთა ქვეყანა. თუმცა, ომმა, რომლის ფრონტი, 3 ათასს კილომეტრს აღწევდა და გერმანიის და მისი სატელიტების 170 დივიზია უტევდა, „ელვისებური“ ხასიათი დაკარგა. საბჭოთა ჯარები, სტალინის მთავარსარდლობით, მედგარ წინააღმდეგობას უწევდა მტერს. საბჭოთა ჯარები, სტალინის მთავარსარდლობით, მედგარ წინააღმდეგობას უწევდა მტერს. ომი გახანგრძლივდა და 1945 წლის 9 მაისს გერმანიის კაპიტულაციით დასრულდა. დასავლეთიდან საომარმა მოქმედებებმა შორეულ აღმოსავლეთში -იაპონიაში გადაინაცვლა. ასეთი მასშტაბების გამო ამ ომს მეორე მსოფლიო ომი ეწოდა. დიდი მსხვერპლი გაიღო ამ ომში საქართველომაც, რომელმაც ფრონტზე 750 ათასამდე მეომარი გაგზავნა, საიდანაც 300 ათასი ვეღარ დაბრუნდა. თუმცა, ამით არ დასრულებულა ომის მწარე შედეგები. ორმოცდაათიან წლებში მთელ საბჭოთა კავშირში დაიწყო „საეჭვო“ პირთა მასობრივი დაპატიმრება და გადასახლება. ესენი იყვნენ ოკუპაციაში, ტყვედ და საზღვარგარეთ ნამყოფი ადამიანები, ემიგრაციასთან ნათესაური თუ სხვა ურთიერთობის მქონე პირები. სარეპრესიო ოპერაცია 1951 წლის 25 დეკემბერს დაიწყო და სულ რამდენიმე დღეში 20 ათასამდე ქართველი სახელდახელოდ, წინასწარ შეუტყობინებლად და მოუმზადებლად ჩაყარეს ვაგონებში და ყაზახეთის „მშიერი უდაბნოს“ ყიზილ ყუმებში საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებში სამუშაოდ ჩაასახლეს. დღეს ჩვენ შემოგთავაზებთ ერთ-ერთი ასეთი ოჯახის წევრის მონათხრობს, რომელიც გულგრილს ვერ დაგტოვებთ: მშრომელი და პატიოსანი ადამიანები იყვნენ მიხეილ შანშიაშვილი და ლიზა მულიგინაშვილი. თბილი კერა ჰქონდათ გამართული და სამ ქალიშვილს ზრდიდნენ. გულო უფროსი იყო, ლია შუათანა. ნაბოლარა ნანა კი 1940 წელს დაიბადა და სულ რარაც წლინახევრის იყო, ზემოთაღწერილი მეორე მსოფლიო ომი რომ დაიწყო. სხვებთან ერთად მიშაც ფრონტზე იმ იმედით წავიდა, რომ სულ მალე გამარჯვებული უკან დაუბრუნდებოდა თავის ოჯახს, მაგრამ ასე როდის სჯიდა მისი ბედისწერა. ომი ხუთი წელი გაგრძელდა. ომის მიწურულს ის ტყვედ ჩავარდა. ბევრი ტანჯვისა და წვალების შემდეგ თავი როგორღაც დააღწია ტყვეობას და უკრაინაში კეთილმა ადამიანებმა შეიფარეს. ომი გამთავრდა, თითქოს მინელდა ქარ-ცეცხლი და მიშამაც საკუთარ კერას მოაშურა. 1947 წელს დაბრუნდა მშობლიურ წითელწყაროში და კვლავ საკოლმეურნეო შრომაში ჩაება, თუმცა, დიდხანს არ გაგრძელებულა სიმშვიდე. 1951 წლის 27 დეკემბერს მისი, როგორც ტყვედნამყოფის ოჯახი შუა აზიაში გადასასახლეს. სწორედ გადასახლების მძიმე წლებზე მოგვითხრობს ჩვენი რესპოდენტი ნანა შანშიაშვილი, დედოფლისწყაროელებისთვის ერთ-ერთი საყვარელი და პატივსაცემი ადამიანი, რომელმაც მთელი თავისი შრომითი საქმიანობა სკოლამდელი ასაკის ბავშვთა აღზრდას შეალია, ორი საუკეთესო შვილის, ექვსი შვილიშვილის პატრონია და მეუღლის, ჩვენი ძვირფასი კოლეგის, შოთა ბიკაშვილის, გარდაცვალების შემდეგ, ოჯახს ბურჯად და დედაბოძად უდგას.

* * *

– წელს, 27 დეკემბერს 70 წელი გადის იმ ავადსახსენებელი დღიდან რაც ჩემმა ოჯახმა იმ გაუსაძლის წლებში გადაიტანა. ალბათ, ბევრმა არ იცის, განსაკუთრებით ახალგაზრდა თაობამ, საბჭოთა კავშირის იმ ეპოქის ამ სასტიკი დანაშაულის შესახებ, ამიტომ გადავწყვიტე, რომ

ფოტო გადაღებულია 1952 წლის 28 აგვისტოს, ყაზახეთში

მოგიყვეთ.

1951 წლის დეკემბერი იწურებოდა. გამთენიისას ჩვენს ოჯახში, რაიონის ადგილობრივ ჩინოვნიკებთან ერთად შეიარაღებული ჯარისკაცები შემოიჭრნენ, ჩხრეკა ჩაატარეს და საოჯახო სამზარეულოს დანის გარდა ვერაფერი აღმოაჩინეს. შეადგინეს ოქმი. ჩემი მშობლები, როგორც ბევრი სხვაც, იმ დროისთვის ოფიციალურ ქორწინებაში არ იმყოფებოდნენ, მაგრამ ჰყავდათ სამი არასრულწლოვანი ქალიშვილი, რომლებიც სკოლის მოსწავლეები ვიყავით. ეს მაშინ არავინ გაითვალისწინა. იმ საღამოს დეიდაჩემმა თავისთან წამიყვანა. ის ჩვენთან ახლოს მდებარე ქუჩაზე ქირით ცხოვრობდა მეუღლესთან ერთად.

დილით, ბალიშიდან თავი როგორც კი წამოვწიე, კარზე ისეთი ხმაური და ადამიანის ლუღლუღი ატყდა, კინაღამ გული გამიჩერდა, კარი ბიძაჩემმა გაღო და ოთახში მეორე დეიდა შემოიჭრა, მომვარდა და ჩაცმა დამიწყო, თან ნერვიულობისაგან ენა ებმებოდა. ძლივს ამოთქვა ერთი სიტყვა „ასახლებენო“. ახლა მეორე დეიდას შეუწუხდა გული და საწოლზე დაეცა, მე გაოგნებული შევყურებდი ორივეს. ვერ მივხვდი, სიტყვა „ასახლებენის“ მნიშვნელობას.

როდესაც სახლში მიმიყვანეს, ჩემს წინ ასეთი სურათი გადაიშალა: ეზოში სატვირთო ავტომანქანა იყო გაჩერებული და ზედ ჩვენს ნივთებს აწყობდნენ: ტანსაცმელს, ლოგინებს, წიგნებს. არ ვიცი ბოლო ჟამს ვის გაახსენდა დედას საკერავი მანქანა, რომელიც შემდეგ ჩვენს მხსნელად იქცა და კიდევ ორი ხის კასრი. წინა დღეს ჩვენი გაზრდილი ღორები დაკლეს, როგორც ყოველთვის, ნაწილი მეზობლებს დაურიგეს და რაც დარჩა, დასამარილებლად ხის კასრებში ჩააწყეს. სწორედ ეს კასრები გაგვატანეს თან.

- რას საქმიანობდა თქვენი ოჯახი გადასახლებამდე, რაიმე საეჭვო ხდებოდა?

არა, ჩვენ იმ პერიოდში ბებიასთან, დეიდასთან და ჩემს თანატოლ დეიდაშვილთან ერთად ვცხოვრობდით. მამა ომიდან ახალი დაბრუნებული იყო და კოლმეურნეობაში მუშაობდა, უნდოდა, ოჯახი ცოტა მოძლიერებულიყო და შემდეგ ჩვენს კუთვნილ სახლში დავბრუნებულიყავით, მაგრამ არ გვაცალეს.

მოკლედ, სახლში რომ მივედით, თითქმის ყველაფერი დაეწყოთ მანქანაში და მე მელოდებოდნენ, ყველანი ტიროდნენ, მეზობლები, ახლობლები, მეორე ბებია და მამიდის ოჯახი, სავსე იყო ჩვენი ეზო, როდესაც მეც ამიყვანეს მანქანაში და მანქანა დაიძრა. ორივე ბებია მანქანას წინ გადაუდგა და ყვიროდა, ჯერ ჩვენ დაგვხოცეთ და ესენი მერე წაიყვანეთო. ეზო სავსე იყო ხალხით, ყველა ვტიროდით. იმ ღამეს ჩვენი ოჯახის გარდა, კიდევ რამდენიმე ოჯახი ააწიოკეს.

ნაშუადღევს მიგვიყვანეს გურჯაანის რკინიგზის სადგურში, მანქანა გაჩერდა თუ არა მე, როგორც ყველაზე პატარა, წამოვხტი და გავიხედე, წინ უამრავი მანქანა იყო გაჩერებული, თვალს ვერ გააწვდენდით, გვერდით კი სატვირთო ვაგონები იყო გაჩერებული, სანამ ვაგონებში შეგვიყვანდნენ, თვალი გავაყოლე და ბოლო არ უჩანდა, ვაგონები თითქოს არ მთავრდებოდა, ორთქლმავალი სადღაც შორს მოჩანდა. გამცილებლებით სავსე იყო გურჯაანის რკინიგზის სადგური. ჩვენსა და გამცილებლებს შორის „ლენტა“ გააბეს, რომ არ გავქცეულიყავით. არადა, თავში აზრადაც არ მოგვსვლია ასეთი რამ, ჩვენ ხომ ერთი ოჯახი ვიყავით, მშობლებს როგორ დავტოვებდით, მით უმეტეს - მშობლები ჩვენ. როგორც იქნა, საღამომდე 8 ოჯახი მოგვათავსეს ერთ ვაგონში. როგორც მახსოვს, 32 თუ 34 ადამიანი ვიყავით. მთელი თოთხმეტი დღე და ღამე ვიმგზავრეთ, ვაგონის შუა ადგილას ქვანახშირის ღუმელი დადგეს, საჭმელსაც იქ ვამზადებდით და ვთბებოდით კიდეც. დამარილებულ ხორცს თითქმის ყოველდღე ვხარშავდით და ჩვენს ვაგონში მყოფ ხალხსაც ვუნაწილებდით. თითოეულ ვაგონს ორი ჯარისკაცი იცავდა. ისინი გარეთ გახედვის უფლებას არ გვაძლევდნენ. პერიოდულად აღებდნენ კარს, რომ შემოეტანათ სადილი, რომელიც იმდენად უგემური იყო, რომ ვერც კი ვჭამდით.

როგორც თავში აღვნიშნე, თვალუწვდენელი სიგრძის იყო ჩვენი „ეშელონი“. თქვენ წარმოიდგინეთ, მგზავრობისას არაერთი ასეთი „ეშელონი“ შეგვხვდა. სადგურში ჩვენი მშობლები ერთმანეთს გადასძახოდნენ: „ქართველები ხართ?“ „ხო ქართველები ვართ“ „საიდან ხართ?“ მერე კი ვტიროდით: ისეთი შთაბეჭდილება შეგვექმნა, თითქოს მთელი საქართველო იქ იყო. ვწუხდით, მაგრამ იმედი არ დაგვიკარგავს, რადგან უფროსები სულ იმას ამბობდნენ: ჩვენ მავნებლები არ ვართ, შეცდომით გვასახლებენ და აუცილებლად მალე უკან დაგვაბრუნებენო. ამ იმედით ვცოცხლობდით და ვარსებობდით.

როგორც იქნა, დანიშნულ ადგილას, შუა აზიაში, ჩაგვიყვანეს. იქაც დიდი სატვირთო ავტომანქანები დაგვახვედრეს და ზედ ჩვენი ბარგიანად მოვთავსდით. იანვრის დასაწყისი იყო. ხო, დამავიწყდა მეთქვა რომ ახალ წელს გზაში, ვაგონში შევხვდით. ეს ჩემს ცხოვრებაში ყველაზე ცუდი ახალი წელი იყო ჩვენი და არა მარტო ჩვენი ოჯახისთვის. მართალია, შუა აზია დიდი ყინვებით არ გამოირჩევა, მაგრამ მაინც ძალიან ციოდა, ყინავდა. დედამ შეკრული ლოგინები გახსნა და დაგვიგო, ცოტა დავთბით, დედა კი ხმამაღლა მოსთქვამდა - რა ჯანდაბად მინდა ეს ლოგინი, თუ შვილები ავად გამიხდებიანო.

როგორც იყო ჩაგვიყვანეს დანიშნულ ადგილზე, ერთ სოფელში, ე.წ. აულაში, რომელსაც სახელად - „ყიზილ-ურდუ“-ს ეძახოდნენ, რაც ქართულ ენაზე „წითელ ვარსკვლავს“- ნიშნავდა. ამასობაში გათენდა, შეგვიყვანეს ერთ დიდ „დარბაზში“- სადაც პრიმიტიული საშხაპე იყო მოწყობილი, იმ მიზნით, რომ რაიმე დაავადება არ გავრცელებულიყო, მერე კი შეგვიყვანეს „ბინებში“. იმ „ბინიდან“ ცხენები გამოიყვანეს და ჩვენ შეგვიყვანეს. მამამ სასწრაფოდ იქვე არსებულ ტყეში ხეები დაჭრა და „საწოლები“ შეკრა. ჩვენთვის შედარებით განიერი საწოლი გააკეთა, ისე რომ სამივე გოგოს იქ დაგვეძინა. სანამ მამა ამ საქმიანობით იყო დაკავებული, ჩვენ იმ საჯინიბოს მფლობელებმა სახლში შეგვიპატიჟეს და ჩაით გაგვიმასპინძლდნენ. სხვათაშორის, ძალიან კეთილი ხალხი აღმოჩნდა. მათი „აულები“ მცირე დასახლებით გამოირჩეოდა, 5-6 ოჯახი თუ ბინადრობდა. მათი ძირითადი საქმიანობა მეცხოველეობა იყო. ჰყავდათ უამრავი აქლემი და ცხენი. ცხენის ხორცს ჩვეულებრივ საკვებად იყენებდნენ.

ბამბის თვალუწვდენელი პლანტაციებით იყო შემოფარგლული მთელი ტერიტორია. ამიტომ, ჩვენც ორკილოიანი თოხები მოგვაჩეჩეს და ბამბის სათოხნად ნაგვიყვანეს. ჩემმა მშობლებმა რომ უთხრეს ჩემზე - ეს პატარაა, თოხნას ვერ შეძლებსო, მათმა უფროსმა, „პალევოდს“ რომ ეძახდნენ, ასეთი პასუხი გასცა, - თქვენ მოხუცები ხართ, სამუშაო ასაკი კი ათი წლიდან იწყებაო. არა და დედა იმ დროს 42 წლის იყო, მამა კი 48 წლის. მე 11 წლის ვიყავი, ჩემი უფროსი დები 14 და 17 წლისები იყვნენ, ისინი ძალიან განიცდიდნენ ჩვენს ამ მდგომარეობას, განსაკუთრებით კი უფროსი დაიკო.

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი გამგზავრების დღიდან იმ იმედით ვცხოვრობდით, რომ მალე უკან დაგვაბრუნებდნენ, ჩემი უფროსი დაიკო, გულო, მაინც დარდის გამო საავადმყოფოში მოხვდა. დედას დიდმა გულმოდგინებამ და ძალისხმევამ შედეგი გამოიღო და ის გამოჯანმრთელდა.

რაც შეეხება სწავლა-განათლებას, ჩვენი ჩასვლიდან სამი თვის შემდეგ ბელორუსიიდან „კულაკობის“ გამო ხალხი ჩამოასახლეს. როგორც ამბობენ, 2-3 ძროხის, მცირე რაოდენობის ცხვრის და რამდენიმე ღორის გამო „კულაკებად“ ჩათვალეს. ჩამოსახლებულებში ახალგაზრდა ცოლ-ქმარი მასწავლებლები იყვნენ, ჩვენგან 3 კილომეტრის დაშორებით, მეორე სოფელში, გახსნეს დაწყებითი კლასები, უფრო სწორად ბავშვების სიმცირის გამო კლას-კომპლექტი. ჩვენც აქ მოგვიწია სწავლა. ასე რომ, დღეში 6 კილომეტრის გავლა გვიწევდა მე და ლიას. ვინაიდან იმ სოფელში უფროსი კლასი არ იყო, ჩემმა მშობლებმა გულო რაიონულ ცენტრში სახელად „სლავიანკაში“ წაიყვანეს სწავლის გასაგრძელებლად. სხვა სოფლებიდანაც გამოჩნდნენ ჩემი დის ასაკის გოგონები, მათთან ერთად იქირავეს ბინა და ასე გააგრძელეს რუსულ საშუალო სკოლაში სწავლა, რომელსაც ჩემმა უფროსმა დაიკომ წარმატებით გაართვა თავი.

ახლა მინდა რამდენიმე დეტალი გავიხსენო იქ ცხოვრების შესახებ. მართალია, ჩვენი სოფლები, „აულები“, ერთ მანეთისგან საკმაოდ შორს იმყოფებოდა, უფროსები, მაინც ახერხებდნენ ერთმანეთთან კომუნიკაციას.

ერთი მამაკაცი, დაახლოებით 40–45 წლის იქნებოდა, სოფლიდან სოფელში ხშირად დადიოდა და, ასე ვთქვათ, ცხელ-ცხელი ამბები მოჰქონდა. ის ხალხს იმედს უსახავდა, ასე დაიწყებდა მოყოლას, ხალხო, წუხელის ისეთი სიზმარი ვნახე, რომ აუცილებლად მალე უკან დავბრუნდებითო. აღნაგობით მაღალი მამაკაცი იყო და მამამ მეორე სახელი შეარქვა და ახალბედაშვილი გიორგი სიზმარაშვილ შოლტად მონათლა. განა მარტო მას თითქმის ყველაფერს და ყველას მეორე სახელები შეარქვა. მის ასეთ მოქმედებას იუმორის სახე ჰქონდა ახალგაზრდებში

/გაგრძელება გვ.7/

ეს რომ აღარასოდეს განმეორდეს

/დასაწყისი მე-6 გვერდიდან/

სიცილს და მხიარულებას იწვევდა, ჩვენც წამიერად გვავიწდებოდა ჩვენი მდგომარეობა, ჩვენი დარდი და უფრო სწრაფად გადიოდა დრო.

საქართველოდან ჩვენი ბებიები და ახლო ნათესავები, დეიდები, მამიდის ოჯახი და სხვები ამანათებს გვიგზავნიდნენ, ამანათს რომ გავხსნიდით, ჩვენს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, ჩემი უფროსი დაიკო წერილებს მიაშურებდა და სულმოუთქმელად კითხულობდა, აინტერესებდა, თუ რა ხდებოდა საქართველოში ჩვენი წამოსვლის შემდეგ. ჩვენ კი პატარები ვიყავით და ხილი და კანფეტები უფრო გვიზიდავდა, ძალიან გვიჭირდა, მართალია, ვმუშაობდით, მაგრამ ანაზღაურება მწირი გვქონდა. აი, აქ გამოადგა ჩვენს ოჯახს ის საკერავი მანქანა, ადრე რომ ვახსენე. დედა ტანსაცმელს უკერავდა იმ სოფლის თავკაცებს, სადაც ჩვენ ვცხოვრობდით და შედარებით კარგ ანაზღაურებასაც აძლევდნენ. ჩვენი სოფლის ზედამხედველმა ე.წ. „პალევოდმა“ ქართველი ბავშვებისთვის საბავშვო ბაღი გახსნა, მათ მშობლებს მუშაობაში ხელი რომ არ შეშლოდათ. იმ საბავშვო ბაღის გამგედ დედა დანიშნეს. კერვის დროც ჰქონდა და თან საბავშვო ბაღს ხელმძღვანელობდა. როცა დედას არ ეცალა, ბავშვებს მე ვათამაშებდი, ვართობდი და ამით ვეხმარებოდი ოჯახს.

„პოლევოდი“ შრომის ანაზღაურების მიზნით ხორბლის ფქვილს გვაძლევდა, კოლმეურნეობიდან კი სიმინდის ფქვილს ვიღებდით. გაინტერესებთ რითი და როგორ ვიკვებებოდით? ერთ ფაქტს მოგიყვებით. მოგეხსენებათ, ცუდი პირობების გამო უფროსი და ავად გახდა და საავადმყოფოში მკურნალობდა, დედა, რაღა თქმა უნდა, რაიონში წავიდა და ჩემს დას უვლიდა, ჩვენ კი ხორბლის ფქვილი შემოგველია და მხოლოდ მჭადის ფქვილით ფაფას ვაკეთებდით. საუზმე სადილი და ვახშამი ერთფეროვანი გვქონდა. მჭადს ვერ ვაცხობდით იმ მიზეზით, რომ ცხიმი არ გვქონდა, იქ მხოლოდ ბამბის ზეთის შოვნა შეიძლებოდა, მაგრამ ისეთი მწარე და უგემური იყო, პირში ვერ ჩაიდებდით. მოკლედ, ჩვენი „კვება“ მთელი ორი კვირა ასე გრძელდებოდა, ისე დავსუსტდით მე და ჩემი და ფეხზე ძლივს ვიდექით. დედა, რომ ჩამოვიდა რაიონიდან და შეგვხედა, ლამის გაგიჟდა, დატრიალდა, ზოგი მეზობლებს ესესხა, ზოგი რამ სოფლის პატარა მაღაზიაში შეიძინა და მოგვაღონიერა. სამწუხაროდ, თვითონ დედა ავად ხშირად ხდებოდა, ჩვენივე გაკეთებული საკაცით ხან ოთახში შეგვყავდა და ხან გარეთ სუფთა ჰაერზე გამოგვყავდა. სიცხეების გამო სუნთქვა უჭირდა. ამის მიუხედავად, შვილების გამო მედგრად იდგა ფეხზე და ცდილობდა, მის შვილებს არაფერი ცუდი არ დამართნოდათ, კვება გაგვიუმჯობესა და ფეხზე მყარად დაგვაყენა.

როგორც ადრეც აღვნიშნე, ზაფხული იქ საშინელი სიცხეების გამო გაუსაძლისი იყო. მახსოვს, ჯერ კიდევ გურჯაანის სადგურში, ახალგაზრდა ცოლ-ქმარი შევნიშნე, რომლებსაც პატარა, ასე 4-5 წლის, ულამაზესი გოგონა ჰყავდათ. მათ ბევრი ხალხი აცილებდა, მათ შორის ერთი ახალგაზრდა მამაკაცი (როგორც შემდეგ გაირკვა ბავშვის ბიძა აღმოჩნდა) ბავშვს გულში იხუტებდა, კოცნიდა და თან, თითქოს რაღაცას ცუდს გრძნობდაო, ბავშვის მშობლებს მკაცრად აფრთხილებდა, ბავშვს მიმიხედეთ, იცოდეთ, ამ ბავშვს რამე რომ დაემართოს, თავს არ ვიცოცხლებო. არ ვიცი ეს მისი წინათგრძნობა იყო, თუ ამ ბავშვის ბედისწერა, იქაურმა გაუსაძლისმა სიცხეებმა შეიწირა იმ ბავშვის სიცოცხლე. ამ ამბავმა ძალიან მატკინა გული და დღემდე მახსოვს. ასევე, არ მავიწყდება ერთი ტრაგიკული დღეც: - ჩვენი დასახლებიდან არც ისე შორს ცნობილი მდინარე „სირდარია“ ჩამოედინებოდა. ჩვენი ქართველი ბიჭებიც დადიოდნენ იქ საბანაოდ და ერთდროულად ორი ახალგაზრდა დაიხრჩო იმ მდინარეში. ბევრი სხვა სიდუხჭირე და გაუსაძლისი პრობლემა გვქონდა გადასალახი იქ ცხოვრებისას.

მდინარე „სირდარიით“ მარაგდებოდა ჩვენი დასახლება, ხელოვნურად გაჭრილ არხებში უშვებდნენ წყალს სიმინდის ყანების და უზარმაზარ ტერიტორიაზე გაშენებული ბამბის პლანტაციების მოსარწყავად. სასმელად კი, სულ რაღაც 1 მეტრზე გაჭრილი ორმოებიდან მოპოვებულ წყალს ვიყენებდით, რომელიც ისეთი დაბინძურებული იყო, რომ გადაუდუღებლად ვერაფერში ვხმარობდით, გადადუღება კი, ისედაც გაუსაძლის სიცხეში მარტივი არ იყო.

ჩვენს ოჯახს იქ ცხოვრებას გვიხალისებდა ერთი პატარა ბიჭუნა, რომელსაც მოფერებით „პატარა კაცს“ - „პუტლუ კაცს“ ვეძახდით. მას ძალიან ახალგაზრდა მშობლები ჰყავდა და სწორედ მათ გადაგვატანინეს ის საშინელი, გაუსაძლისი დღეები. ჩემს უფროს დაიკოს თანაკლასელები ხშირად უგზავნიდნენ წერილებს და ამით გვამხნევებდნენ. ჩვენ კი ყოველი წერილის წაკითხვისას ხმამაღლა ვრტიროდით, რადგან ჩვენი სახლ-კარი გვენატრებოდა. განსაკუთრებით ახლო ურთიერთობა ჰქონდათ ეგული ყოჩიაშვილს და ლენა (ელენე) ლაპიაშვილს. ლენა სიცოცხლის ბოლომდე გვერდში ედგა, მის ჭირსა და სიხარულს იზიარებდა.

როგორც იყო განვლო წელიწადნახევარმა ზოგჯერ სიცილში, ზოგჯერ ტირილში და ერთხელაც, რაიონიდან უცხო ხალხი მოვიდა და მოგვთხოვეს ყველანი გარეთ გავსულიყავით. მათ წაიკითხეს იმ ხალხის სია, რომელიც გაათავისუფლეს და საქართველოში დაბრუნების ნებართვა მისცეს. ალბათ, ბევრისთვის წარმოუდგენელია, თუ როგორი სიხარული გამოიწვია ჩვენში ამ ამბავმა. მართალია, ჩვენი გვარი არ გამოუცხადებიათ, მაგრამ სხვისი სიხარული გავიზიარეთ. რა თქმა უნდა, გული ძალიან დაგვწყდა, მაგრამ იმედი არ დაგვიკარგავს. არც მეორე ჯერზე გვერგო ეს ბედნიერება, მაგრამ როდესაც მესამედ გვეწვივნენ, ჩემი ოჯახიდან მარტო მე ვიყავი გარეთ, ეგრეთ წოდებულ „ბირჟაზე“ და როდესაც ჩვენი გვარი ამოიკითხეს, სიხარულისგან გიჟივით შევვარდი სახლში და ვიყვირე - ჩვენ გაგვათავისუფლეს-მეთქი. ჩემებმა არ დამიჯერეს, მაგრამ მეზობლებმა მალე დაარწმუნეს. სიხარულისგან არ ვიცოდით, რას ვაკეთებდით.

ერთ მშვენიერ დღეს ისევ სატვირთო ავტომანქანებზე მოგვათავსეს და რკინიგზის სადგურში წაგვიყვანეს, სადაც ეშელონებში უნდა გაენაწილებინათ ეს უამრავი ხალხი. ერთი დღე და ღამე ველოდებოდით მატარებლის მოსვლას.

ახალგაზრდები ემოციებს ვერ მალავდნენ, დიდი წრე შეეკრათ, მღეროდნენ და ცეკვავდნენ, მაგრამ არ დამავიწყდება იმ ხალხის სახეები, რომლებიც დაუძლურებულნი, ზოგი საკაცით ჰყავდათ, ზოგი კი ყავარჯნებით ძლივს იდგა ფეხზე. ასეთები მრავლად იყვნენ.

მეორე დღეს, საღამო ახლოვდებოდა, როდესაც „ეშელონი“ ჩამოდგა სადგურში და ყველანი მოგვათავსეს. მთელი გზა ვმხიარელობდით, ვიცინოდით, ვერთობოდით. უკან დაბრუნებულებს აღარ გვზღუდავდნენ. გაზაფხული იყო და ვაგონის კარებები ღია იყო, მთელი გზა ვათვალიერებდით სოფლებს და ქალაქებს. მდინარე „ვოლგის“ მისადგომებთან გაგვაჩერეს, ხიდი დაზიანებული იყო და აქაც ერთი დღე და ღამე ველოდებოდით. ხიდი შეაკეთეს თუ არა, ისევ გზას გავუდექით. ხიდის გავლას 40 წუთი დასჭირდა. შუა ხიდზე ცოტა შეფერხდა მატარებელი, ამის გამო ძალიან შეგვეშინდა, მაგრამ მალე გავაგრძელეთ გზა. ასე რომ, ჩვენს იქიდან წამოსვლას ბევრი სიხარულიც ახლდა და ბევრი ხიფათიც, ყველაფრის დეტალებში მოყოლა შორს წაგვიყვანს.

და აი, როგორც იქნა, დავბრუნდით საქართველოში. გურჯაანის რკინიგზის სადგურში თითქმის ყველა ნათესავი დაგვხვდა. ჩვენსა და მათ სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა.

მე და ჩემმა დებმა ორი სასწავლო წელი დავკარგეთ, მაგრამ სხვა გამოსავალი არ გვქონდა. ამის გამო ერთგვარი დისკომფორტი შეგვექმნა ჩვენზე უმცროს ბავშვებთან სწავლის გამო, მაგრამ ამას ვინღა ჩიოდა ჩვენ სამშობლოში, ქართულ გარემოში და ახლობლებთან ვიყავით. ჩამოსვლისთანავე ჩემმა უფროსმა დამ, გულომ დაწერა მოგონებები, აღწერა ჩვენი განცდები, მაგრამ ისევ საბჭოთა ეპოქა მეფობდა და შეეშინდა, უკან არ დაგვაბრუნონო, ამიტომ დაწვა. მისი მოგონებები ლექსით იწყებოდა:

„დეკემბრის დილა გათენდა
სუსხიანი და ავი,
დილა გათენდა ჩვენთვის,
ყველაზე შემზარავი“.

ვიცი, ჩემმა დამ უფრო საინტერესოდ დაწერა ყველაფერი, მაგრამ მე ხომ იმ პერიოდში პატარა ვიყავი - მხოლოდ 11 წლის, როგორც აღვიქვი და დამამახსოვრდა 70 წლის წინანდელი, ისე გადმოვეცი. მომიტევეთ თუ თქვენთვის ისეთი საინტერესო არ აღმოჩნდება. ჩემთვის კი ეს გულის გადაშლას და გაზიარებას ნიშნავს. ერთი, რაც მინდა დავამატო ის არის რომ დასაწყისში აღვნიშნეთ, ჩემს მშობლებს ხელი არ ჰქონდათ მოწერილი, როგორც ცოლ-ქმარი არ იყვნენ დარეგისტრირებულნი, მაგრამ მაშინ ეს არაფრად მიიჩნიეს და მაინც ყველა გადაგვასახლეს. როდესაც დადგა საკითხი და საბოლოოდ რეპრესირებულის სტატუსი მოგვანიჭეს, როდესაც მოგვიანებით გერმანიის მთავრობამ დანაშაული თავის თავზე აიღო და გარკვეული თანხა გამოყო თითოეული რეპრესირებულისთვის, და ამის გამო საბუთების შეგროვება მოგვიხდა, აქ თითოეულ ასოს გამოეკიდნენ, სადღა არ დაგვჭირდა მისვლა და სახელის, დაბადების მოწმობაში თარიღების, მამის და დედის სახელების და ათასი წვრილმანის გასწორება.

***

სამშობლოში დაბრუნებულმა მიშა შანშიაშვილმა წითელწყაროს ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობაში მეფრინველეობაში დაიწყო მუშაობა. იგი 1976 წელს 73 წლის ასაკში გარდაიცვალა. ქალბატონმა ლიზამ კი თავისი საქმიანობა გააგრძელა და საკმაოდ კარგი მკერავის სახელი მოიპოვა. მან ხანგრძლივად იცხოვრა და 89 წლის ასაკში დატოვა წუთისოფელი. ისინი მოესწრნენ სამივე შვილის დაოჯახებას, მონაწილეობა მიიღეს შვილიშვილების გაზრდაში და ვალმოხდილები წავიდნენ ამ ცხოვრებიდან. თუმცა, ვერ მოესწრნენ რეპრესირებულთა რეაბილიტაციას. ეს პროცესი ცოტა გვიან დაიწყო.

გასული საუკუნის 80-90 წლებში, ჯერ კიდევ კომუნისტების დროს, საქართველოში რეპრესირებულ ადამიანებს რეაბილიტაციის პროცესში კონპენსირებისთვის დაენიშნათ 45 მანეთი, რომელიც შემდგომში, თავისუფალი ქვეყნის პირობებშიც გაგრძელდა. დღეისთვის კანონმდებლობა საპენსიო ასაკს მიღწეულ რეაბილიტირებულთათვის პენსიაზე 7 ლარის დანამატს ითვალისწინებს. 2010-12 წლებში გერმანიამ რეპრესირებულთა ერთჯერადი კომპენსაციისთვის, როგორც ამბობენ, თითოეულზე 3 ათასი ევრო გამოყო, მაგრამ მაშინდელმა მთავრობამ, მხოლოდ 300-300 ლარი გადაუხადა. „ქართულმა ოცნებამ“, მოსვლისთანავე, იუსტიციის მაშინდელი მინისტრის თეა წულუკიანის ინიციატივით, თითოეულს 1250 ლარი დაუმატა. კომპენსაცია დაერიცხათ უკვე გარდაცვლილ პირებსაც. ეს იყო იმის აღიარება, რომ ეს ადამიანები უსამართლოდ იყვნენ გადასახლებულები და ისინი იმ ტანჯვას არ იმსახურებდნენ.

კარს მოგვადგა ახალი წელი. ჩვენს რესპოდენტებს - ნანა და ლია შანშიაშვილებს და მათ შთამომავლობას ვულოცავთ დამდეგ შობა-ახალ წელს, ბედნიერება და წარმატებები მათ.

ნაირა გორაშვილი

სალარო აპარატების გამოყენების ვალდებულება კიდევ ერთი წლით გადავადდა

ბაზრობებზე მოვაჭრე ფიზიკური პირებისთვის სალარო აპარატების გამოყენების ვალდებულება კიდევ ერთი წლით - ამჯერად, 2023 წლის 1-ელ იანვრამდე გადავადდა.

“საგადასახდო კოდექსში“ დაგეგმილ ცვლილებები პარლამენტმა 79 ხმით მიიღო.

2022 წლის 1-ელი იანვრიდან ბაზრობის ტერიტორიაზე ვაჭრობის განმახორციელებელი ფიზიკური პირი ვალდებული იყო საქონლის მიწოდებისას საკონტროლო-სალარო აპარატი გამოეყენებინა.

როგორც პროექტის განმარტებით ბარათში ვკითხულობთ, აღნიშნულ ვადაში კანონის ამოქმედებისთვის საჭირო იყო გარკვეული მომზადება და შესაბამისი სამუშაოების ჩატარება, თუმცა ქვეყანაში გლობალური პანდემიიდან გამომდინარე შექმნილმა მდგომარეობამ სამუშაოების ჩატარებისათვის დამატებითი დრო მოითხოვა და აუცილებელი გახდა კანონის ამოქმედების ვადის 2023 წლის 1 იანვრამდე გადაწევა.

რას მოუტანს კაცობრიობას 2022 წელი?

2021 წლის დასრულებამდე სულ ცოტა დრო რჩება. რას მოუტანს 2022 წელი კაცობრიობას? ვეფხვი რთული ხასიათის მქონე ცხოველია. ის გავლენას მოახდენს ადამიანის ცხოვრების ყველა სფეროზე.

რობორი იქნება 2022 წელი?

აღმოსავლური კალენდრის მიხედვით, 2022 წელი შავი წყლის ვეფხვის წელი იქნება. ის ძალაში 2022 წლის 1 თებერვლიდან შევა და წლის მფარველად 2023 წლის 21 იანვრამდე დარჩება. დღესასწაულის თარიღი წლიდან წლამდე იცვლება, მაგრამ ყოველთვის 21 იანვრიდან 20 თებერვლამდეა. იმ მომენტამდე კი კაცობრიობა კვლავ თეთრი მეტალის ხარის მფარველობის ქვეშ იქნება.

შავი წყლის ვეფხვის წლის იღბლიანი სიმბოლოები:

ფერები — შავი, ლურჯი, ღია ცისფერი, ნაცრისფერი, ნარინჯისფერი, თეთრი, ოქროსფერი.

ციფრები— 1, 3 და 4, ასევე რიცხვები, რომლებშიც ეს ციფრებია წარმოდგენილი.

რა ავირიდოთ თავიდან:

***წითელი, ყავისფერი და ნარინჯისფერი ფერები სახლის ავეჯსა და ტანსაცმელში.**

***ხელოვნური ყვავილების დეკორაციები სახლში.**

წლის მფარველი პლანეტა მერკურია, სიბრძნის, სიმრავლისა და წონასწორობის სიმბოლო. მისი ზემოქმედება სასარგებლო გავლენას მოახდენს ადამიანებისა და პლანეტის ცხოვრების ყველა სფეროზე და შეარბილებს ვეფხვის გავლენას.

რა ახასიათებს ვეფხვს აღმოსავლური კალენდრის მიხედვით?

ვეფხვი ლიდერი ცხოველია. ის არის ძლიერი, ენერგიული, მაგრამ ძალიან მგრძნობიარე და იმპულსური. ვეფხვი, ისევე როგორც ლომი, ითვლება მხეცების მეფედ, ძალაუფლებისა და კეთილშობილების სიმბოლოდ. მას პატივს სცემენ, მაგრამ იციან, რომ ახასიათებს კონფლიქტურობა. ყველა ეს თვისება ხილული იქნება 2022 წლის მახასიათებლებში.

ვეფხვი მესამე ადგილზეა ზოდიაქოს წრეში. ლეგენდის თანახმად, მას სურდა ლიდერი გამხდარიყო, მაგრამ ვირთხა და ხარი წინ უსწრებდნენ. მიუხედავად ამისა, ამბიციური ვეფხვი სამეულში შევიდა.ამაყი ვეფხვი გამოირჩევა ცნობისმოყვარეობით, ის არ გრძნობს სიახლის შიშს და ყოველთვის ღიაა ექსპერიმენტებისთვის. მას შეიძლება ეწოდოს დაბადებული ავანტიურისტი. 2022 წლის მფარველი ცხოველის დადებითი თვისებებია: **ძალა, ნება, ნდობა; სამართლიანობა და კეთილშობილება; კრეატიულობა და წარმოსახვითობა.**

წლის ელემენტი — წყალი — შეძლებს, რომ ოდნავ შეარბილოს ვეფხვის ცხელი ენერგია და მისი აგრესია. ვინაიდან აღმოსავლურ კულტურაში წყალს ორმაგი მნიშვნელობა აქვს, იგი ითვლება კურთხეული წვიმების სიმბოლოდ გვალვისა და ქარიშხლის ელემენტებში, ადამიანებს მოუწევთ ადაპტირება მის ცვალებად ბუნებასთან. ვეფხვს ახასიათებს მოუსვენარი და აქტიური ცხოვრების წესი. უყვარს მრავალფეროვნება, მუდმივად იცვლის გარემოს. ის არის ძალიან დამოუკიდებელი ცხოველი, რომელსაც არ სჭირდება ხელმძღვანელობა.

2022 წელს მეტი დრო უნდა დაუმოთ ჯანმრთელობასა და სილამაზეს. ადამიანები სერიოზულად დაკავდებიან სპორტით, მიმართავენ სხეულის განკურნებასა და წმენდას. ვეფხვი ჯანსაღი ცხოვრების წესის ნამდვილი მოყვარულია, ამიტომ ადამიანები მთლიანად შეცვლიან ცხოვრების წესს.

რას უნდა ველოდოთ ვეფხვის წლიდან ოჯახის, სიყვარულისა და ურთიერთობების თვალსაზრისით?

ვეფხვი არ ითვლება გამრავლების სიმბოლოდ, ამიტომ ქორწილებისა და მშობიარობის ბუმი არ უნდა იყოს მოსალოდნელი. ამავდროულად, ქორწინებას ბევრი წყვილი დააკანონებს, რომლებიც დიდი ხნის განმავლობაში არიან ურთიერთობაში. 2022 წელს არის შანსი, შეხვდეთ პარტნიორს სერიოზული ურთიერთობისთვის და გააძლიეროთ ოჯახური კავშირები, რადგან წლის სიმბოლო აფასებს ოჯახს.

ვეფხვები არ მიეკუთვნებიან კომუნიკაბელურ ნიშნებს, ამიტომ ოჯახში მეტი ყურადღება უნდა მიექცეს კომუნიკაციების განვითარებას. რეგულარული კომუნიკაცია, საერთო ჰობი და ერთად მეტი დროის გატარება დაეხმარება მშობლებს, რომ უკეთ გაუგონ შვილებს.

2022 წელს დაბადებულ ბავშვებს ექნებათ დახვეწილი ინტუიცია, იქნებიან მომხიბვლელები და მგრძნობიარეები. მიუხედავად ძლიერი ხასიათისა, მათთან ურთიერთობა ადვილი იქნება. მათი მდიდარი შინაგანი სამყარო და შემოქმედებისკენ მიდრეკილება მათ ცნობილს გახდის.

კრეატიულობისა და ავანტიურიზმის სული გაანათებს შავი წყლის ვეფხვის წელს, შექმნის ნაყოფიერ ნიადაგს ახალი აღმოჩენებისა და მიღწევებისთვის. ეს იქნება რთული, მაგრამ სავსე საინტერესო მოვლენებით. ამ ყველაფერს შეუძლია ბევრი ადამიანის ცხოვრების გაუმჯობესება. მოემზადეთ საუკეთესო ამბებისთვის და გჯეროდეთ, რომ 2022 წელი ბედნიერებას მოუტანს თითოეულ თქვენგანს.

რა უნდა იყოს 2022 წლის საახალწლო სუფრაზე?

ბევრს მიაჩნია, რომ თუ დამდეგი წლის სიმბოლოს ოჯახში შექმნილი ატმოსფერო, მორთულობა და საახალწლო სუფრა მოეწონება, მისი ცხოვრება, ახალ წელს, წარმატებული იქნება. ამიტომ, ბევრი ადამიანი ინტერესდება, თუ რა უნდა მოამზადოს საზეიმო სუფრისთვის, რომ ვეფხვის წელს სათანადოდ შეხვდეს.

ვეფხვი დიდებული და მტაცებელი ცხოველია, რომელიც პატივისცემას მოითხოვს. ამიტომ, ახალი 2022 წელი მასშტაბურად უნდა აღინიშნოს... და ეს იმდენად სუფრას კი არა, უფრო მეტად, სახლის საზეიმო მორთულობას და მასში შექმნილ ატმოსფეროს ეხება. პანდემიის მიუხედავად, ახალი წლის ღამეს, ყველა კარგ განწყობაზე უნდა იყოს და დამდეგ წელს დადებითი ემოციებით უნდა შეხვდეს. ხოლო, ისეთი ცხოველისთვის, როგორიც ვეფხვია, სუფრაზე ხორციანი კერძი აუცილებლად უნდა იყოს. ხორცის სახეობას კი, მნიშვნელობა არ აქვს. საზეიმო სუფრაზე ასევე უნდა იყოს მწვანილი, ბოსტნეული და ხილი.

საახალწლო სუფრისთვის სავსებით შესაფერისი იქნება ფრინველის (ქათამი, იხვი, ინდაური), ცხვრის ან ღორის ხორცით მომზადებული კერძები. ხოლო, საქონლის და ხბოს ხორცის მომზადებისგან, უმჯობესია, თავი შეიკავოთ. არსებობს ლეგენდა იმის შესახებ, რომ თითქოს, ხარმა ვეფხვი დაამარცხა. ამიტომ, აღმოსავლეთში, ამ ცხოველებს ყველაზე საშიშ მტრებად თვლიან.

ხორცის მომზადება კი, უმჯობესია ერთ დიდ ნაჭრად. ხოლო, უშუალოდ, სუფრაზე მიტანის წინ, შეგიძლიათ დაჭრათ, რადგან ვეფხვი მარტოხელა ცხოველია და არასდროს ჭამს ერთი ჭურჭლიდან სხვებთან ერთად. რაც შეეხება თერმულ დამუშავებას, ვეფხვი შემწვარი ხორცის წინააღმდეგი არ იქნება. თუმცა, ხორცის მომზადება ბოსტნეულთან ერთადაც შეიძლება. თუ შესაძლებლობა არსებობს, იდეალური ვარიანტი მწვადი იქნება.

რადგან საახალწლო სუფრაზე ხორცი იქნება, რომელიც საკმაოდ მძიმე საკვებად ითვლება, მასთან ერთად, აუცილებლად უნდა იყოს ბოსტნეული ან ბოსტნეულით მომზადებული კერძები. ასევე შეგიძლიათ, სუფრაზე ნებისმიერი მწნილის მიტანა. ვეფხვს ესიამოვნება, თუ ხორცის გარნირი ყვითელი ან ნარინჯისფერი იქნება. ამ ეფექტის შესაქმნელად კი, შეგიძლიათ სტაფილო, ზაფრანა ან კურკუმა გამოიყენოთ. საახალწლო მენიუში აუცილებლად უნდა იყოს სალათებიც.

რაც შეეხება დესერტებს, ეს შეიძლება იყოს კლასიკური ნაპოლეონი ან ჰაეროვანი პანაკოტა. სუფრაზე შეგიძლიათ მიიტანოთ ფუმფულა „ბრაუნი“ ან ორფეროვანი კექსი — „ზებრა“.

გამაგრილებელი სასმელები უნდა იყოს ბუნებრივი და სასურველია, ყვითელი ან ნარინჯისფერი შეფერილობის. ეს შეიძლება იყოს ვაშლის, ფორთოხლის ან ანანასის წვენი ან კომპოტი. ვეფხვს მოეწონება, თუ ოჯახის დიასახლისი უალკოჰოლო სასმელს თავადვე მოამზადებს. ხოლო, სპირტიანი სასმელის შერჩევისას, ასევე უნდა გახსოვდეთ, რომ ის, ყვითელი შეფერილობის უნდა იყოს. მაგ, შამპანური, თეთრი ღვინო ან ღია ფერის ხილის ლიქიორი.

რა არ უნდა იყოს საახალწლო სუფრაზე?

რადგან ვეფხვს თევზის დაჭერა არ შეუძლია, შეგიძლიათ, საერთოდ უარი თქვათ ზღვის პროდუქტებზე. თუმცა, თუ გინდათ, რომ სუფრაზე თევზეული იყოს, შეგიძლიათ თქვენი საყვარელი კერძი მოამზადოთ, მაგრამ გაითვალისწინეთ, რომ მთავარი კერძი სუფრაზე, ხორციანი უნდა იყოს.

საახალწლო მენიუდან უნდა გამორიცხოთ მარცვლეული და ბურღულეული. ამ პროდუქტების ჩანაცვლება კარტოფილით ან სხვა ბოსტნეულით შეგიძლიათ.

და ბოლოს, კერძები უფრო სურნელოვანი და გემრიელი რომ იყოს, მომზადებისას, სუნელები გამოიყენეთ. ეს ძალიან კარგი მეთოდია იღბლის და წლის მთავარი სიმბოლოს — ვეფხვის, კეთილგანწყობის მისაზიდად, რადგან მას მკაფიო და ძლიერი არომატები მოსწონს.

რა უნდა ჩაიცვათ?

მოერიდეთ ტანსაცმელზე „კატის“ პრინტს (გამოსახულებას). არ იფიქროთ, რომ თუ ვეფხვის გამოსახულებიან კაბას ჩაიცვამთ, ეს მას გაუხარდება, პირიქით, არ ესიამოვნება, რადგან უკვე აღვნიშნეთ, რომ ვეფხვს არ უყვარს კონკურენტი. ნუ იქნებით ვეფხვის მეტოქე! 2022 წლის პალიტრა საკმაოდ მდიდარია იმისათვის, რათა თქვენთვის სასურველი ფერი შეარჩიოთ. აქსესუარები სასურველია, შეარჩიოთ წყლის სტიქიის ფერებში.

როგორ მოვრთოთ სახლი ახალი წლის დღესასწაულისათვის?

წლის გმირმა, მასპინძელმა (წყლის ვეფხვმა) თავი უნდა იგრძნოს მყუდროდ, მშვიდად და კომფორტულად. არა მყვირალა ფერებს, განსაკუთრებით ისეთი, როგორიც საფრთხეზე მიანიშნებს, ანუ გამორიცხეთ მკვეთრი წითელი

და ნეონის ყველა ფერი (ნეონის ემისიური სპექტრი ულტრაიისფერიდან ინფრაწითელ ხაზამდე). ისინი კომფორტს კი არ გააძლიერებენ, არამედ პირიქით, სულს შფოთვასა და ნერვიულობას მოუტანენ.

ნაძვის ხეზე აუცილებლად უნდა იყოს ვეფხვის ფიგურები. ის შეიძლება, დამზადებული იყოს სხვადასხვა მასალისაგან.

ვეფხვი დიდი კატაა და მასაც უყვარს მზეს მიფიცხება, რბილ ბალახზე წამოწოლილს. სახლში შეგიძლიათ, ამ ყველაფრის იმიტაცია გააკეთოთ. რბილი პლედები, გადასაფარებლები, დეკორატიული ბალიშები - გამოიყურება მყუდროდ და ლამაზად. ფერთა გამა - ოქროსფერიდან ოხრამდე (ოხრა, ანუ ჟანგმიწა - ბუნებრივი მინერალური საღებავი, წითელი, ან მოყვითალო, ან ბუნებრივი ყვითელი ფერის). ხელსახოცები და სუფრა (მაგიდის გადასაფარებელი) უნდა იყოს თეთრ და ოქროსფერ ფერებში. მაგიდაზე უნდა იყოს სანთლებიც: სანთლები ვერცხლისფერი, ან ოქროსფერი ძაფებით, ლენტებით გაფორმებული. მაგიდაზე აუცილებლად უნდა იყოს ხილი: ხურმა, ფორთოხალი და მანდარინი.

რა ვაჩუქოთ ვეფხვის წელიწადს ადამიანებს?

ეს ის წელი არაა, როდესაც საყოფაცხოვრებო ნივთებს უნდა მიაქციოთ ყურადღება. საჩუქარი შეიძლება იყოს, პირიქით, არაპრაქტიკული, მაგრამ, როგორც იტყვიან, სულისათვის. ჩამონათვალი არც ისე მცირეა: პარფიუმერია, ნახატები, წიგნები, ლამაზი ღამის თეთრეული და საცვლები, ნივთი ჰობისათვის (მაგალითად, მამაკაცებს ანკესი სათევზაოდ, ან სხვა აქსესუარები, ბინოკლი, ზურგჩანთები და ა.შ.)

ვეფხვის წელს შეიძლება, იყოს კარიერული აფეთქება. ერთი ნახტომი და უკვე აბსოლუტურად ახალ სიმაღლეზე იქნებით. მთავარია, მზად იყოთ ასეთი საპასუხისმგებლო სვლისათვის. განსაკუთრებით გაუმართლა მათ, რომელთა საქმიანობაც უკავშირდება საჯარო გამოსვლებს, პოლიტიკას, შემოქმედებას. წარმატება დადგება, თუ შესაბამისი მზაობა არსებობს და საქმეს შუა გზაზე არ მიატოვებთ, რისი საფრთხეც, სამწუხაროდ, ძალიან დიდია. 2022 წელს უნდა ეცადოთ, ისწავლოთ ახალი რამ, დახვეწოთ საკუთარი თავი, დაეუფლოთ ახალ პროფესიასა და უნარებს. ვეფხვის წელს ჯანმრთელობის პრობლემები დიდად არ იქნება. მთავარია, არ დაარღვიოთ რეჟიმი, იყავით აქტიური. ვეფხვის წელიწადს გავშვის დაბადება კარგის ნიშანია. ამასთანავე, ცეცხლის სტიქიასთან იყავით ფრთხილად. ცეცხლთან თამაში არ შეიძლება, ნუ მოიქცევით დაუდევრად.

გაზეთი „შირაქი“ გილოცავთ დამდეგ შობა-ახალ წელს! გისურვებთ ჯანმრთელობას, ერთმანეთის სიყვარულსა და თანადგომას, ჯანისა და სულის სიმრთელეს!

მოამზადა
ხათუნა ბენაშვილმა

მადლიერება!

2021 წლის სექტემბერის ბოლოს, ოქტომბრის შუა რიცხვებში, გადავიტანე კორონა ვირუსი. სამწუხაროდ, მკურნალობის გაგრძელება დამჭირდა საავადმყოფოში. მინდა განსაკუთრებული მადლიერება გამოვხატო დედოფლისწყაროს რეგიონალური ჯანდაცვის ცენტრის თითოეული თანამშრომლის - ექიმების, ექთნებისა თუ სანიტრების მიმართ. მადლობა ამ ადამიანებს თავიანთი დაუღალავი შრომისა და ენეგრიისთვის, რომლებაც უზარმაზარი წვლილი შეიტანეს ჩემს გამოჯანმრთელებაში. მათი მხრიდან გამოჩენილი უსაზღვრო ყურადღება და მზრუნველობა, ნამდვილად დასაფასებელი და აღსანიშნია. აქვე მინდა, მივულოცო მათ დამდეგი შობა-ახალი წელი! ვუსურვო მათ პროფესიული წინსვლა, წარმატება და ულევი ბედნიერება.

პატივისცემით,
გურამ ბენაშვილი

ამინდი

დედოფლისწყარო

ორშაბათი 27.12		სამშაბათი 28.12		ოთხშაბათი 29.12		ხუთშაბათი 30.12		პარასკევი 31.12		შაბათი 01.01		კვირა 02.01	
დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე
9 °	–3 °	9°	–3 °	9 °	–3 °	8 °	–2 °	8 °	-2 °	7 °	-2 °	5 °	-3 °

გამომცემელი შპს „შირაქი“
დირექტორი ინგა შიოლაშვილი
რედაქტორი ნაირა გორაშვილი-პოპიაშვილი
წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ჟუჟუნა ყანჩაშვილი (ჟურნალისტი); ელზა ხარაშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ხათუნა ბენაშვილი (კორექტორი); ნათელა ბოსტაშვილი (ბუღალტერი); ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი); მზია ქენქაძე (საქმის მწარმოებელი).
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს „კოლორ პრესის“ სტამბაში.

რედაქციის მისამართია: ქალაქი დედოფლისწყარო, ფირსმანის №18,
ტელ. 0 356 22 22-85;
598 72-18-72 (დირექტორი)
591-97-73-26 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.